№ 126
კვირა, 24 ივლისი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.
რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილით 11-დან 12 საათამდე.
დაუბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

1877—1905

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 126
კვირა, 24 ივლისი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 20 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.
განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.
ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

ეროვნული ბიბლიოთეკა
საჯარო ბიბლიოთეკა

დღევანდელ ნომერთან ერთად ქალაქის ხელის მომწერლებს ურიგდებათ პრემია ,,ივერიის ბიბლიოთეკა‘‘ № 2.

შინაარსი:
1) **დაუპატიჟებელი** მორის მეტერლინკისა;
2) **სხვათა შორის**, მოთხრობა ია ეკალაძისა;
3) ხალხის წარმომადგენლობა და საარჩევნო უფლება გორგასლიძისა.

ქართული თეატრის მსახიობი-ქალი **ბარბარე ნებიერიძისა**, შვილებითურთ აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ უფროსის ქალის, გიმნაზიის VI კლასის მოწაფის

თამარა ნებიერიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი დანიშნულია 23 ივლისს, საღამოს 7 საათზე. მიცვალებულს გამოასვენებენ კვირას, 24 ივლისს, 10 საათზე, გოგიაშვილის სახლიდან (ვეძისის ქუჩა № 21) სამების ეკლესიაში, დაკრძალავენ კუკიის სასაფლაოზე. (2—2).

დღევანდელ ნომერთან ყველა ხელის მომწერლებს ურიგდებათ ცალკე ფურცლებად დაბეჭდილი დამზღვევ საზოგადოების „როსსიას“ განცხადება.

ისყიდება
ფინიკულერის მახლობლად **სააგარაკო მიწები**, მეტად ხელ-საყრელ პირობებით. ყველა აგარაკში **არის წყალი**.
მიჰმართეთ: სოლოლაკის ქუჩაზე № 15 ქ-ნ ბლაშს. (2—1)

დოქტორი მედიცინისა
ვლ. ი. ინაშვილი
მიიღებს ყოველ დღე 1—3 საათამდე და საღამოთი 6—8 საათამდე შიგნეულის, ქალების და ბავშვების ავადმყოფობით შეპყრობილთ.
ნიკოლოზის ქუჩა, სახლი № 31. (10—9)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:
მ. უ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.
გ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.
ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.
ქ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.
გ. ა. თარხანოვი—1—1½ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.
ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.
საღამოობით:
ნ. ქ. აბიანცი—შინაგან ავადმყ. 7—8 საათ.
პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.
ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი ქ. **გძელიშვილი.**
Первая частная лѣчебница д-ра **Навасардіана.**
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.
კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და გარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18 —იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 91.

ვაჭაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

მოქალაქეობა და განათლება

თუმცა ჩვენ პატარა ხალხი ვართ, მიუხედავად ამისა, ამ მცირე კრებულშიაც ცოტაოდენ სხვადასხვაობას შენიშნავთ. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ახალი საზოგადოებრივი მიმდინარეობა ერთნაირის სიმკვიდრით ვერ იკიდებს ფეხს. ერთ ადგილს რომ ძლიერია იგი, შეგნებული და შეთვისებული, მეორე ადგილს სტიქიური ხასიათი აქვს, არ ეტყვია გარკვეულობა, შეგნება, საზოგადოებრივ პირობების აწონ-დაწონა. რატომ?

ამის მიზეზი ბევრია, მაგრამ, მე მგონია, უმთავრესი ამ მიზეზებში, რომელიც ხელს უწყობს ან აფერხებს მოძრაობის ზრდას, არის განათლების ხარისხი. ეკონომიური და პოლიტიკური პირობები არსებითად ჩვენის ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში არ განსხვავდება. რეჟიმი ყოველგან ერთნაირია, ხალხის უმრავლესობა ყოველგან დაბეჩავებულია, მოკლებულია არსებობის ელემენტარულ პირობებს, ყოველგან იყვლიფება და ღატაკია. კიდევ მეტი: მე შემიძლიან ვთქვა, რომ, რამდენად უფრო ღატაკი და დაბეჩავებულია ამა თუ იმ კუთხის უმრავლესობა, იმდენად დღეს ნაკლებია მასში შეგნება. მას შემდეგ, რაც კაცობრიობას თავისი ისტორია აქვს, იგი მუდამ დაყოფილი იყო მყვლეფელ უმცირესობად და გაყვლეფილ უმრავლესობად. რასაკვირველია, განვითარების სხვადასხვა საფეხურზე ეს უმცირესობის-მიერ უმრავლესობის გაყვლეფა სხვადსხვა სახით სწარმოებდა: ძველ დროში ერთის მხრივ იყო მონის პატრონი, მეორე მხრივ—მონა, საშუალო საუკუნოებში ერთის მხრივ ფეოდალი, მეორე მხრივ—ყმა, ჩვენს დროში ბურჟუა-კაპიტალისტი და ქირის მუშა. მაშ ექსპლუატაცია სხვადასხვა სახით მთელის კაცობრიობის ისტორიაში არსებობს. იმავე დროს კი თქვენ ვერ იტყვით, რომ ამ ექსპლუატაციის შეგნებაც ყოველთვის არსებობდა. პირიქით, ამ შეგნებას მეტად დიდი დრო დასჭირდა და იგი სავსებით შესაძლო შეიქმნა მხოლოდ ამ ბოლო ხანებში.

კაცობრიობა მთელს თავის განვითარებაში აგროვებდა ცხოვრების ანალიზს, რომ ბოლოს სავსებით გამოემჟღავნებია სოციალურ ცხოვრების ამამოძრავებელი მიზეზები. მაშ სოციალური შეგნება ისტორიული მოვლენაა. ის შედეგია კაცობრიობის ათას წლობით თანდათანის განვითარებისა. ამ განვითარებაში ერთის თაობის-მიერ შეძენილი ცოდნა და დაკვირვება გადაეცემის მეორეს, რომელიც მას გააფართოვებს და შემდეგ თაობას მიაწვდის.

ბევრ ფსიხიურ ურთიერთ გავლენის იარაღთა შორის, ჩვენ პირველი ადგილი აქამდის უნდა დავუთმოთ მწიგნობრობას. დღეს წარმოუდგენელია ცოტაოდენი კულტურული ცხოვრება, კულტურულ ინტერესით გატაცება ისეთ წრეში, სადაც მწიგნობრობა არ არსებობს. განსაკუთრებით მწერლობას დიდი ადგილი ეთმობა ისეთ ქვეყანაში, სადაც არაა მოქალაქობრივი თავისუფლება, სადაც არაა განხორციელებული, სხვათა შორის, კრების თავისუფლება. რა შეგნებაა შესაძლო იქ, სადაც ხალხმა არ იცის წერა-კითხვა? მაგალითად, ბოჩალოს მაზრაში არის ერთი სოფელი, სადაც რამდენიმე ასი კომლი ცხოვრობს. ამ სოფელში მხოლოდ სამმა კაცმა იცის ხელის მოწერა. ცხადია, ეს ხალხი არაა გონებრივად შეკავშირებული კაცობრიობასთან, მას არ შეუძლიან რაოდენადმე მაინც ისარგებლოს, როგორც კაცობრიობის დღევანდელის ცხოვრებით, ისე მისი წარსულის მაგალითებით. ის შეუგნებელია. და თუ სოციალური მოძრაობა არა ერთნაირი სიმტკიცითა და ძლიერებით გამოიხატება ჩვენის მხრის სხვადასხვა ადგილას, ეს მოვლენა უნდა ავხსნათ განსაკუთრებით ამ გარემოებით. ამიტომაც უნდა ვეცადოთ მოვსპოთ ის პირობები, რომელიც ხელს უშლის ხალხის განვითარებას, და საქმე ისე მოვაწყოთ, რომ ყოველი ადამიანი კაცობრიობის ნამდვილ წევრად გავხადოთ.

ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს, თუ როგორ გულგრილად ეპყრობა განათლების საქმეს გაბატონებული ბიუროკრატია.

ამის საუკეთესო მაჩვენებელი არის ბიუჯეტი. 1894 წელს ჩვეულებრივ ხარჯებიდან სახელმწიფომ დახარჯა განათლებაზე მხოლოდ 0,4%. აქედან მხოლოდ ერთი დასკვნა შეიძლება,—სახელმწიფო არ ზრუნავს სახალხო განათლებაზე. შიდა რუსეთში, როგორც მოგეხსენებათ, სახალხო სკოლები ერობების ხელშია. აქაც ერთს ფრიად საყურადღებო მოვლენას ვამჩნევთ. რუსეთში ზოგიერთ გუბერნიაში თავად-აზნაურობა ბევრია, ამიტომ ცენზის მიხედვით შემდგარ ერობაში მათ ბევრი წარმომადგენელიც ჰყავთ, ასე რომ, იქ მოპირდაპირე წოდებას, გლეხებს, სჭარბობენ რიცხვით. პირიქით, ზოგიერთ გუბერნიაში თავად-აზნაურობის რიცხვი იმდენად მცირედია, რომ ვერავითარი ხელოვნური ზომები ვერ შველის მათ ერობაში უმრავლესობის შესარჩენად. და, აი, რას ვხედავთ: იმ გუბერნიებში, სადაც წარმომადგენელთა უმრავლესობას გლეხები შეადგენენ, განათლებაზე საერობო ბიუჯეტიდან იხარჯება, შედარებით, გაცილებით მეტი, ვიდრე სხვა ერობებში. მაგალითად, პერმის გუბერნიაში განათლებაზე იხარჯება საერობო ხარჯის 23,7%, ვიატკაში 20,7% პირიქით, იმ გუბერნიებში, სადაც ერობაში თავად-აზნაურობის წარმომადგენლები უმრავლესობას შეადგენენ, განათლებაზე ყველა ხარჯებზე ნაკლები მიდის. მაგალითად, სიმბირსკის გუბერნიაში 4,6%, ბესარაბიისაში 8,8%. ეს ციფრები რომ უფრო მდაბიოდ გამოვთქვათ, დავინახავთ, რომ პერმის გუბერნიაში საერთო საერობო ხარჯიდან განათლებაზე დახარჯულა ყოველი ას მანათიდან დაახლოვებით 24 მ., ვიატკაში—21, ხოლო სიმბირსკაში—5, ბესარაბიისაში 9. განსხვავება მეტად საგრძნობელია, იგი ჩვენ ნათლად გვიჩვენებს, რომ ხალხის განათლება მხოლოდ ხალხის ხელში იხეირებს. სხვა გზა წარმოუდგენელია.

ამნაირად, ჩვენ დავინახეთ, რომ, როგორც ყოველი ადამიანი, ისე ყოველი ჯგუფი რომ გახდეს საზოგადოების ნამდვილ წევრად, რომ შეგნებული მონაწილე გახდეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ამისთვის აუცილებლივ საჭიროა გაცნობა და შეთვისება იმ სალის ცოდნისა, რომელიც კაცობრიობას თავის განვითარებაში მოუგროვებია. ეს საქმე საზოგადო საქმეა. ის მოითხოვს საზოგადოებრივ ორგანიზაციას ხალხის გასანათლებლად. ხოლო ამ ორგანიზაციის მოწყობა არავის არ შეუძლიან, გარდა, თვით ხალხისა.

პ. სურგულაძე.

ჩვენი უთანხმოება

თუ გინდა, მკითხველო, რომ ყოველი შენი მოწინააღმდეგე დაამარცხო, ამისათვის ორი ხრიკია საჭირო: უნდა მიაწერო შენს მოწინააღმდეგეს ის, რაც შენთვის არის მხოლოდ საჭირო და რაც მას აზრადაც არ მოსვლია, და, თუ ეს საკმაო არ იქმნება, უნდა დაიწყო მის გულში ფათური და იძახო: როცა ეს კაცი ამას ამბობდა, გულში ესა და ეს ედვა-თქო. ამგვარის ხრიკებით შენ უსათუოდ გაიმარჯვებ, არა თუ გაიმარჯვებ, დიდი ოინბაზიც გახდები: ამგვარის საშუალებით შეგიძლია თაგვს კატა აშობინო, კატას აქლემი და სხვ.

ამგვარ ხრიკებს ხმარობს ჩემს წინააღმდეგაც ბ-ნი ელიავა. მას უნდოდა უსათუოდ დაემტკიცებია მკითხველისათვის, რომ ჩემი წერილის აზრი ბურჟუაზულ-ლიბერალური იყო, და იმის მაგიერ, რომ გაერჩია მხოლოდ ის, რაც შიგ ეწერა, ჩემს გულში დაიწყო ფათური და მომაწერა ის, რაც მე არ მითქვამს. აი მაგალითები: ვინ არ იცის, რომ ჩვენში არსებობს ღარიბ-ღატაკი ნაწილი აზნაურობისაო, სწერს ის ერთ ალაგას, და შესაძლებელია მისი და ღარიბი გლეხობის შეერთება,—ეს გაცვეთილი აზრია, მაგრამ გომართელი იმიტომ იმეორებს ამას, რომ ის საერთო ნიადაგს ეძებს, გლეხობისა და შეძლებული თავად-აზნაურობის დაკავშირება უნდაო, ეს არის მისი წერილის „ГВОЗДЬ“-იო და სხ მე გადაჭრილად ვეუბნები გლეხს ჩემს წერილში: შენ უნდა ებრძოლო შეძლებულს ნაწილს თავად-აზნაურობისას-მეთქი, და ბ ნმა ელიავამ კი აღმოაჩინა ჩემს გულში სულ სხვა რამე.

სახელი და დიდება ბ-ნ ელიავას გულთამხილაობასა და მკითხაობას, ხოლო მე მაინც უნდა გავიმეორო, რომ ამგვარი გულთმისნობა არც საპუთად ვარგა, არც საკადრისია მწერლობაში. მე ვწერ ჩემს წერილში: ბრძოლა შინ შენთვის საჭიროა, აუცილებლად საჭირო, მხოლოდ მთელი შენი ძალ-ღონე შინაურ მტერს არ უნდა გადაალიო-მეთქი, და სხვ. ბ-ნ ელიავას მოჰყავს ეს ადგილი, მოჰყავს კურსივით და ბოლოს ასე განმარტავს: „ე. ი. ეკონომიური ბრძოლა უკუ აგდე და პოლიტიკურს შეალიე შენი ძალღონეო“. „ესე იგიც“ სწორედ ამისთანა უნდა! ბ-ნო ნიკო! ბ-ნო ნიკო! ამისთანა უკუღმა ცილისწამება იქმნება? ჩემმა გამტყუნებამ ისე როგორ გაგიტაცათ, რომ ქართულის გაგებაც დაგავიწყდათ? შინაური ბრძოლა იგივე ეკონომიური ბრძოლაა ჩვენი გლეხისათვის; მე მას ვეუბნები: ბრძოლა შინ და ბრძოლა გარედ შენთვის აუცილებლად საჭიროა-მეთქი, ე. ი. ეკონომიური ბრძოლაც საჭიროა, პოლიტიკურიც, მხოლოდ მთელს შენს ძალღონეს მარტო ეკონომიურს ბრძოლას ნუ შეალევ-მეთქი, და ბ-ნ ელიავას კი სრულებით სხვანაირად გაუგია: ეკონომიური ბრძოლა უკუ აგდე და პოლიტიკურს შეალიე შენი ძალღონეო!

სიმართლის თქმა თავის ქება არ არის; მე ნათლად და გარკვეულად მაქვს აქ ჩემი აზრი გამოთქმული, ისე გარკვეულად, რომ ორ ნაირად გაგება ამ ადგილისა შეუძლებელია, მაგრამ ბ ნმა ელიავამ მაინც სხვანაირად გაიგო. არა, იმანაც კარგად გაიგო, რისი თქმაც მინდოდა, მაგრამ მისთვის აუცილებლად საჭირო იყო, ჩემი აზრისთვის უკუღმა ცილისწამება გამოება უკან, რომ ამით მთელი ლექცია წაეკითხა დღევანდელ მოძრაობისა და ჩემი უვიცობის შესახებ და ბოლოს მე ბურჟუა-ლიბერალად გამოეყვანე.

ვიცი, სადაც უმიზნებს ბ-ნი ელიავა: ასეთ ცილისწამებას ჯერ კიდევ, საუბედუროდ, გასავალი აქვს იმ ხალხში, რომლის ინტერესებსაც ჩვენ ორივე ვემსახურებით, ჩვენის შეძლებისა გვარად. ჯერ კიდევ ბევრია ამ ხალხში ისეთებიც, რომლებიც იმას ამოიძახებენ, რასაც ჩასძახებ. რაკი ბ-ნი ნიკო ჩასძახებს მათ და მასთან ერთად ხონის მეცნიერები: გომართელი ბურჟუაა, ჰკათ მაგასო, ამგვარ ჩაძახებას უსათუოდ მოჰყვება შესაფერი ამოძახილიც და ჩემს მოკამათეებსაც მხოლოდ ეს უნდათ,—ამის მუცლის გვრემა აქვთ.

არა, ბატონებო! ის მოძღვრება, რომელსაც ჩვენ ყველანი ვემსახურებით, თქვენი მონოპოლია არ არის, არც თქვენა ხართ ამ მოძღვრების უცოდველი პაპი, რომ თქვენგან ლოცვა-კურთხევის მიღება იყოს საჭირო, და ამიტომ შეიძლება, პირადად რამდენსამე კაცთან ყოველი კავშირი შევწყვიტო, მაგრამ საერთო საქმეს მაინც არ ვუღალატო და შეძლებისა გვარად განვაგრძო სამსახური.

როგორია ბ-ნ ელიავას ლექცია, რომლის გულისთვისაც მან ჩემი აზრი დაამახინჯა? ეკონომიური სტრუქტურა ყველაფრის საფუძველია, შეუძლებელია ეკონომიური და პოლიტიკური მოწინააღმდეგეების დაშორებაო, და სხვა და სხვა. ბ-ნო ნიკო! ნუ თუ ყოველივე ეს გაცვეთილი აზრი არა გგონიათ? ერთი მიბრძანეთ, როდის და რა მოგახსენეთ ამის წინააღმდეგი? როდის გითხარით: „ეს შინაური საქმეა, დღეს კი გარეშე მტრებთან არის ბრძოლა საჭიროო“? მე ვეუბნებოდი გლეხს: ბრძოლა შინ და ბრძოლა გარედ, ბრძოლა ეკონომიური და ბრძოლა პოლიტიკური შენთვის ორივე საჭიროა-მეთქი და თქვენ კი მაინც თქვენსას გაიძახით: არა შენ ეგ კი არ გითქვამს, ეს თქვი,—აი შე უვიცო, შენაო. აგრე იყოს, ბ-ნო ნიკო, რაკი ასეთი ჯიუტი ხასიათი გქონიათ.

იმ საკითხის შესახებ, რომელმაც გამოიწვია ჩვენი უთანხმოება, ბ-ნი ელიავა ორ სკამზე ზის: ჰოსაც ამბობს, არასაც; ერთ ალაგას იგი სწერს: ღარიბ-ღატაკ აზნაურობას არავინ არ ებრძვის და არა-მკითხველმა გლეხმაც კარგად იცის, რომ ასეთი ნაწილი შესაძლებელია მასვე ამოუდგეს გვერდშიო, და სხვ. მეორე ალაგას კი განაგრძობს: რამდენადაც ეს ღარიბ-ღატაკი ნაწილი თავად-აზნაურული რჩება, იგი გლეხის მოწინაიმდეგეა და მთელი თავისი ძალ-ღონით უნდა ებრძოლოს მას გლეხიო.

ამგვარად, ერთ ალაგას შეერთება შესაძლებლად მიაჩნია ბ-ნ ელიავას, მეორე ალაგას კი შეუძლებლად. ან თვითონაც არა აქვს ავტორს ნათლად გათვალისწინებული საკამათო საგანი, ან განგებ ბუნდოვანად ლაპარაკობს, რომ შეუგნებელ მკითხველს თვალები აუხვიოს.

საქმე აი როგორ მესმის მე.

სოფელში ერთად არიან ღატაკი გლეხი, საშუალო შეძლების გლეხი და შეძლებული გლეხი, ღატაკი თავად-აზნაური, საშუალო შეძლების თავად-აზნაური და მდიდარი თავად-აზნაური. მდიდარი გლეხი, საშუალო შეძლების თავად-აზნაურობა და მდიდარი აზნაურობა, მათთან ერთად სოფლის ვაჭრები,—წარმოადგენენ ერთად, ეგრედ წოდებულ, მემამულეს, მიწის პატრონს: თავის მიწას ისინი თვითონ არ მუშაობენ და ცხოვრობენ მიწის იჯარით. დარჩნენ ერთად ღატაკი გლეხი, საშუალო გლეხი და ღატაკი თავად-აზნაურობა. მათი ეკონომიური ინტერესი ერთი და იგივეა—მიწის გასაზოგადოებრივობა. მათ, მიუხედავად ამისა, თუ არ ესმისთ ეს საერთო ინტერესი, ამის მიზეზი, ერთის მხრით, თავისი მდგომარეობის შეუგნებლობაშია, მეორეს მხრით, წოდებრივ პრივილეგიებში. მწერლობის მოვალეობაა, შეიტანოს ამათ აზროვნებაში საკუთარი ინტერესების შეგნება და შეაერთოს ისინი სოფლად ისე, როგორც ქალაქში შეერთდნენ ქარხნის მუშები, და ამგვარად გადააქციოს ისინი მიწის მუშათა შეგნებულ მომქმედ კლასად. შეერთებას თუ ხელს უშლის წოდებრივი პრივილეგიები, თავის-თავად ცხადია, რომ საჭიროა, ამ პრივილეგიების მოსპობა, მაგრამ ამისათვის ცალკე ბრძოლა საჭირო არ არის: ბრძოლა არსებულ რეჟიმთან იმავე დროს ბრძოლაა ფეოდალურ წყობილების ყველა ნაშთთან და, მათთან ერთად, წოდებრივ პრივილეგიებთანაც.

ქალაქის მუშები თუ დღეს წარმოადგენენ ერთი მიზნისაკენ მტკიცედ მიმავალს გაერთიანებულ კლასს, ამგვარი კლასიური შეგნება და ორგანიზაცია თავისთავად, ერთბაშად კი არ გაჩენილა, არამედ დიდი ხნის შრომა, დიდი ხნის მეცადინეობა, დიდი ხნის ბრძოლა იყო ამისთვის საჭირო. თავის არსებობის პირველ საფეხურზე ყოველი მუშა თავისი მისწრაფებით წვრილი ბურჟუაა,—გრძნობას იგი სოციალიზმისაკენ სრულებითაც არ მიჰყავს; მხოლოდ კლასიურმა შეგნებამ აუხილა მუშას თვალები და დაანახა მას, რომ მისი ხსნა სოციალიზმშია. ამ კლასიურმა შეგნებამ შეაერთა ქალაქის მუშები და გადააქცია ისინი ერთ მომქმედ კლასად. სწორედ ამგვარად და ამ გზით უნდა მოხდეს სოფლად მიწის მუშათა შეერთება და მათი შეგნებულ და მოქმედ კლასად გადაქცევა.

მიწის მუშას მე ვუწოდებ ყველას განურჩევლად წოდებისა, ვინც თავისი ხელით ამუშავებს თავის საკუთართან იჯარით აღებულ მიწას, ვისაც არც მოჯამაგირე ყავს და არც გასაცემი მიწა აქვს. ყველა ამათი ეკონომიური ინტერესი ერთი და იგივეა—მიწის მფლობელობის ძირიანად შეცვლა. ამ საერთო ინტერესმა უსათუოდ უნდა შეაერთოს ისინი და გადააქციოს ერთ მებრძოლ კლასად.

ამგვარი შეერთება აი რად არის საჭირო: მიწის მუშამ დღეს დაიწყო მოქმედება, მაგრამ ხვალ არ გათავდება ეს მოქმედება; ჯერ ბევრი დრო გაივლის, სანამ ეს ბრძოლა შესაფერის ნაყოფით დაგვირგვინდებოდეს; ამიტომ რაც უფრო შეგნებული და გაერთიანებული იქნება მომქმედი კლასი მიწის მუშებისა, მით უფრო ადვილია გამარჯვება, მით უფრო მოახლოვდება ეს გამარჯვება.

თუ კი ამ შეერთებას და მიწის მუშების ერთ შეგნებულ კლასად გადაქცევას რაიმე მიზეზები ხელს უშლის, აქედან ის დასკვნა კი არ უნდა გამოვიყვანოთ, რომ შეერთება უარვყოთ და ხელი შევუშალოთ ამ კლასის შეგნებას და გაერთიანებას, როგორც ეს ბ-ნ ელიავას ჰგონია, არამედ ჩვენ მთელის ჩვენის ძალღონით უნდა მოვიშოროთ თავიდან ყველა ეს მიზეზები, ყველა ეს დაბრკოლება და ამით ხელი შევუწყოთ მიწის მუშათა კლასის შეგნებულად გაერთიანებას. ამგვარად ჩვენ გვეყოლება ქალაქში მუშათა შეგნებული კლასი, სოფელში მიწის მუშათა შეგნებული კლასი და მათი შეთანხმებული მოქმედება მიგვიყვანს იმ მიზნამდე, რომელსაც ჩვენ ვემსახურებით.

აი, ამას ქვია თურმე, „საერთო ნიადაგი! წარმოიდგინე, მკითხველო, ის დრო, როდესაც პირველად გაჩნდა ჩვენს ქალაქებში და სამრეწველო ადგილებში აზნაური—მუშა. იმ დროს რომ ვისმე ეთქვა მუშა-გლეხებისათვის: შეუერთდით მაგ კაცს; რადგანაც თავის ეკონომიურ მდგომარეობით და ინტერესებით ეგ თქვენი ამხანაგიაო, ბ-ნი ელიავა და მისი მსგავსნი ხელებს გააპარპალებდნენ, ამისთანა „ბურჟუა-ლიბერალს“ ჯვარს აცვამდნენ და მუშა-გლეხებს მოუწოდებდნენ: არ გაბრიყვდეთ, აქ „საერთო ნიადაგის“ მახეა მომზადებული, დღეს თუ მუშა-აზნაურს შეუერთდით, ხვალ მდიდარ თავად-აზნაურებს შეუერთდებით, ზეგ ბურჟუაზიას და დაიღუპებითო. მგლისაგან შეშინებული ძაღლი სამ წელიწადს ჯირკს უყეფდაო, უთქვამს ჩვენ ხალხს. ასე ემართება ბ-ნ ელიავასაც, თორემ გასაკვირალია, საიდან გამოძებნა ჩემს წერილში საერთო ნიადაგი.

ბ-ნი ელიავა ხონელ მეცნიერებთან ერთად მიკიჟინებს: აი, შე ასეთო, შე ისეთო, როგორა თქვი „მე არა ვარ წოდების წოდებაზე მისევის თანახმაო“. პირველი ის, ბ-ნო ნიკო, რომ ჩემი რედაქცია ამგვარი არ არის, როგორც თქვენ მოგყავთ; მე ვწერდი: ერთ წოდებას მეორეს არ მივუსევდი-მეთქი. ამ ორ რედაქციას შორის კი, თუ ჩაუკვირდებით, დიდი განსხვავებაა: პირველი რედაქცია იმას ნიშნავს, თითქო მე ვისმე ვამტყუნებდე წოდებათა წაკიდებაში და ამაში არ ვეთანხმებოდე; ჩემი რედაქცია კი მხოლოდ იმას ამბობს და მეტს არაფერს, რომ მე წოდებათა წასევას არ ვქადაგობ. რად თქვი ესო,—მაინც თავისას არ იშლიან. თქვე დალოცვილებო, ჩემი პირველი წერილი ისე გაიგეს, თითქო მე ერთ წოდებას მეორეს ვუსევდი. ამგვარი უაზრობით საშველი არ მომცეს და მეც მხოლოდ გავაფრთხილე, ვინც ასე გაიგო, ცუდად გაგიგია-მეთქი. როგორ, ბ-ნო ელიავა და ხონის მეცნიერებო? განა ჩემი ბრალია, რომ ასე გაიგეს? განა თქვენს შესახებ კი არ ამბობდნენ და ახლაც ამბობენ: ერთ წოდებას მეორეს უსევთო? გასაოცარი იქნებოდა, რომ მოგადგეთ და გიკიჟინოთ: აი, თქვე ასეთებო, თქვენა, რად ამბობენ ამას თქვენზე-მეთქი. ჩემზედაც იგივე თქვეს და მეც ვუპასუხე: ჩემი

წერილი გლახად გაგიგიათ·მეთქი. ამ პატარა შენიშვნის რედაქციის პირველი ნაწილი გაუგებარი იყო, იქ არა მქონდა გამოთქმული ჩემი აზრი აღნიშნული კითხვის შესახებ, რადგანაც ის შენიშვნა მხოლოდ ჭორების წინააღმდეგ იყო მიმართული. ეს შენიშვნა სულ ნამცეცი, ნამცეცათ რომ გაერჩიათ ბ-ნ ელიავასა და ხონელ წევრებს, მე არა თუ ხმას არ ამოვიღებდი, პირიქით, მევე გამოვაცხადებდი: ჩემი რედაქცია გაუგებარი იყო და, შეიძლებოდა, ბევრს ისეც გაეგო, როგორც თქვენ, ასეც გაეგო და სხვ. და ერკლად გამოვთქვამდი ჩემს აზრს ისე, როგორც ახლა გამოვთქვი.

შეუმცდარ პაპად მე არ მიმაჩნია ჩემი თავი, არც მარქსად მეჩვენება ჩემი თავი, როგორც ეს ზოგიერთ მარქსისტებს ემართებათ, და ამიტომ ყველას კრიტიკას დიდის ყურადღებით მოვისმენ, მით უმეტეს, ჩემი თანამოაზრეებისა და ამხანაგების კრიტიკას; ამგვარი კრიტიკა ერთი-მეორის აზრებისა საჭიროც არის, რადგანაც ცხოვრება ვითარდება, ჩვენს თვალის-წინ ერთი მოვლენა მეორესა ცვლის და, მოვლენათა ახსნა-დაფასებაში რომ საერთო გზას არ ავცდეთ, საჭიროა ერთი-მეორეს ჩვენს აზრს, ჩვენს შეხედულებას ვუზიარებდეთ. უამისოდ ერთ წერტილზე შეჩერდება და დახავსდება ყოველ ჩვენგანის აზროვნება.

ვიმეორებ, მე ამგვარ კრიტიკის წინააღმდეგი კი არა ვარ, მე წინააღმდეგი ვარ მთელის ჩემის არსებით იმ საზიზღარ, დიალ-საზიზღარ საშუალებისა, რომელსაც, სამწუხაროდ, ხმარობს ხოლმე ზოგიერთი ჩემი თანამოაზრე და რომელიც ამ შემთხვევაში «მოგზაურმა» იხმარა ჩემს წინააღმდეგ: მან ხონელ მეცნიერების ხელებით ჩემს გულში დაიწყო ფათური ისე არხეინად, თითქო ეს ჩემი გული სარედაქციო კალათი ყოფილიყოს, და გამოაცხადა: ახლა კი ვიცით, ვისთანაც გვაქვს საქმეო.

მეტი პატივისცემა ადამიანისადმი, მეტი ობიექტივიზმი სხვის აზრების გარჩევის დროს, მეტი გულწრფელობა და ნაკლები ყოყოჩობა,—აი რას ვითხოვ მე ყველასაგან. ყოველივე ეს კი ერთობ აკლია ბევრს ჩვენგანს.

ი. გომართელი.

რუსეთის ცხოვრებიდან

არ არის ისეთი ხალხი, რომლის ეკონომიური ცხოვრება არ იცვლებოდეს თანდათან,—იცვლება წარმოების ფორმები და მასთან ერთად იცვლება ხალხის სხვადასხვა ნაწილის აზროვნება და დამოკიდებულება ერთმანეთში.

რუსეთში, სადაც ბატონ-ყმობის გაუქმების შემდეგ განსაკუთრებულის სისწრაფით გავრცელდა კაპიტალისტური წარმოება და სადაც ამ წარმოების გაღონიერებას ხელს უწყობდა რუსეთის მთავრობა, უწინდელ საზოგადო კლასების ადგილას გამოვიდა ახალი კლასები, ამ კლასებმა თავიანთი მოთხოვნილებანი წამოაყენეს და ამნაირად მთელს საზოგადო ცხოვრებასაც ახალი ელფერი დასდეს.

ერთის მხრივ მსხვილ მწარმოებელ-კაპიტალისტთა კლასი თავის კლასსიურ ინტერესებს იცავდა, მეორეს მხრივ კი მუშათა კლასსი ჯერ გაუბედავად გამოდიოდა სამოქმედოდ, ჯერ სუსტად იღებდა ხმას და თავის ძირითად მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებასაც ითხოვდა.

მწარმოებელთა კლასსისათვის აუცილებელი იყო სწავლა-განათლების გავრცელება რუსეთში. წარმოების გაუმჯობესობა, ახალი აღმოჩენანი, ამ აღმოჩენების გამოყენება შეიძლება მხოლოდ იქ, სადაც ადამიანი სამეცნიერო აზროვნებას შეჩვეულია, სადაც მან იცის საეჭვოსი და ჭეშმარიტების გარკვევა. ამისთვის კი საჭიროა, რომ სწავლა აღზრდის საქმე შესაფერად იყოს მოწყობილი, რომ სასწავლებელშივე ყმაწვილი შეეჩვიოს ხოლმე კრიტიკულ მსჯელობას.

მაგრამ ამნაირ სასწავლებლის მოწყობა რუსეთში არ შეეძლო ბიუროკრატიას,—სალი გონება, კრიტიკული მსჯელობა, უკრიტიკოდ არაფრის არ დაჯერება,—ეს ხომ თვით მმართველ კლასსების ავტორიტეტის უარის ყოფაა, ეს ხომ შეარყევს სახელმწიფო წყობილების საფუძველს, ეს აჯანყების წარმომშობია?!.. ასე ჰფიქრობდა ბიუროკრატია და ამიტომ მან შემოიღო კლასსიკურ სწავლა-განათლების სისტემა სასწავლებლებში, დააშორა სასწავლებელი ცხოვრებას და თვით სასწავლებელში ყოფნის დროს ბავშვებს აჩვევდა ქედის მოხრას, ავტორიტეტის თაყვანისცემას, უკრიტიკობას, გონებრივსა და ზნეობრივს მონობას...

ამნაირ სწავლით იკვებებოდნენ შეძლებული კლასსები და მომავალ საზოგადო მოღვაწეობისათვის ემზადებოდნენ,—ხალხის უმეტესობა კი ამასაც მოკლებული იყო და უბრალო წერა-კითხვის შესწავლასაც ვერ ახერხებდა. სახალხო წიგნებისათვის რომ ორკეცი ცენზურა შემოიღო, ცენზურა სახალხო კითხვებს ათასნაირ დაბრკოლებას უმზადებდა და ხალხის უმეტესობას განზრახ სიბნელეში სტოვებდა...

სწავლა, ცოდნა, ხალხის გონებრივი განვითარება კი თვით კაპიტალისტურ წარმოების განვითარებისთვის იყო აუცილებელი საჭირო. ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებში ხალხის სწავლა-განათლებაზე აუარებელი ფული იხარჯება ყოველ-წლიურად, გერმანიის საერო კრებაც დიდ გულუხვობას იჩენს ხსენებულ საქმეში, ყველგან, ყველა სახელმწიფოში სწავლით, ხალხის გონებრივ განვითარების საშუალებით ცდილობენ ხალხის ქონებრივ განვითარებას...

რუსეთში კი... რუსეთში წარმოების გასაღონიერებლად, თვით წარმოების გაუმჯობესობის მაგივრად ისევ ძველს დახავსებულ საშუალებას მიმართავენ ხოლმე—მფარველობითს სისტემას და ბაჟებს...

ივიწყებენ, რომ ეს მფარველობითი სისტემა, ეს ბაჟები ნაწარმოებს აძვირებს, რომ ამიტომ ნაწარმოების მომხმარებელი, ხალხის უმეტესობა, იძულებული ხდება მეტი ფასი გადაიხადოს ამ ნაწარმოებში, სხვადასხვა გადასახადით ისედაც შეწუხებულმა კიდევ ახალი ტვირთი აიკიდოს,—რომ ეს ბაჟები ხალხისთვის საზარალოა.

ხალხი ყველაფერს აიტანსო,—იძახდა ბიუროკრატია და... სცდებოდა სასტიკად!..

სხვადასხვა კლასად დაყოფილი საზოგადოება სხვადასხვა მიზნის მიღწევას ცდილობდა. წარმოებაში, ხალხის ეკონომიურ ცხოვრებაში გართული კლასსები თავ-თავისაკენ მიიწევენ და სცდილობენ წარმოებაში მეტი მოგება, მოგების მეტი წილი თვითონვე მიიღონ. აქ ჩნდება განხეთქილება, ბრძოლა, რომელიც ისე მწვავდება ხშირად, რომ თვით საზოგადო წყობილების საფუძველს არღვევს. მოწინააღმდეგე ძალები აქ იბრძვიან ბატონობისთვის.

სადაც ხალხს სიტყვის, პრესსის, შეკრების თავისუფლება არა აქვს მინიჭებული, სადაც მოწინააღმდეგე კლასებს საშუალება არა აქვთ ერთმანეთის აზრი და მიმართულება გაიცნონ დაახლოვებით და ერთმანეთთან მოლაპარაკებით ამა თუ იმ კალაპოტში ჩააყენონ საზოგადო ცხოვრება, იქ კლასსიურ ბრძოლას სტიქიური ხასიათი ეძლევა, იქ კამათის მაგიერობას სისხლის ღვრა ეწევა, იქ თანდათან განვითარების მაგივრად შემოდის რევოლუცია.

ბიუროკრატია, რომელმაც ბატონობა დაიმკვიდრა სახელმწიფოში და თავისი თავი უცოდველ, შეუმცდარ პაპად გამოაცხადა, ამ უბრალო ჭეშმარიტებას ვერ ხედავდა და ფიქრობდა, რომ შეიძლებოდა ქაღალდზე ჩამოწერილ ბრძანებით საზოგადო განვითარების მოსპობა,—მას ავიწყდებოდა, რომ კანონები კი არა ქმნის ცხოვრებას, რომ, პირიქით, თვით ცხოვრება აუცილებლად ხდის ამა თუ იმ კანონებს, რომ სახელმწიფო წესწყობილება საზოგადოებაში არსებულ საზოგადო ძალთა რეალურ განწყობილების გამომხატველია ყოველთვის.

ბიუროკრატია ვერ მიხვდა, რომ გამოცვლილ ცხოვრების ახალი პირობები, საზოგადოებაში ფეხ-მოკიდებული ახალი ძალები უთუოდ მოითხოვენ არსებულ რეჟიმის გამოცვლას და რომ ამ მოთხოვნის შეუსრულებლად დატოვებას ვერ შესძლებს ვერც ბიუროკრატია, ვერც მის ბატონობის ნაცადი იარაღი—ტყვია და მათრახი,—ადამიანის დატუსაღება.

როდესაც ახალი საზოგადო კლასსები თავიანთ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ითხოვენ, ბიუროკრატია აცხადებს, რომ მათი მოთხოვნა ძირითად კანონებს არღვევს, და ამიტომ უყურადღებოდ უნდა იყოსო დატოვებული.

ახლა, როდესაც ქალაქში მცხოვრებ და ქალაქ ადგილებში მომქმედ ჯგუფებს შეუერთდა გლეხობაც, როდესაც სოფელმა, ათასნაირ გადასახადით შეწუხებულმა, გაღატაკებულმა, ხშირად მშიერმა მოითხოვა მძიმე საფინანსო ტვირთის შემსუბუქება, როდესაც გლეხი ქალაქის მუშასთან ერთად არსებულ ბიუროკრატიულ რეჟიმის მოწინააღმდეგე გამოდგა, ბიუროკრატიამ სხვადასხვა დაპირებით სცადა მისი დაკმაყოფილება, მაგრამ ახლა კი ამაოდ...

სოფელი ბიუროკრატიას მეწველ ფურად მიაჩნდა რომელიც მორჩილად იდგა, როდესაც მისგან აკრეფილ გადასახადს ბიუროკრატია მილიონერ მექარხნეების მფარველობაზე ხარჯავდა; როდესაც ბიუროკრატია სოფლის შინაურ საქმეებშიაც ერეოდა და თავისუფალ ცხოვრების ნებას უსპობდა ყველას; როდესაც სწავლა განათლების მაგივრად სოფლად ვრცელდებოდა ლოთობა.

სოფელი ღარიბდებოდა... ცხოვრებაში იკლებდა ხარჯებს, იკლებდა ჩაცმა-დახურვას, ჭამა-სმას, იკლებდა... მდიდრების ზედმეტ გასამდიდრებლად! სოფლის გაღარიბებით თანდათან ძირი ეცლებოდა რუსეთის საფინანსო პოლიტიკასაც, რომელიც არა-პირდაპირ გადასახადზეა აგებული...

ბიუროკრატია მალავდა ამ გაღარიბებას...როდესაც ერობებმა სტატისტიკურის ცნობების შეკრებით თანდათან ამ გაღარიბების უტყუარი საბუთები წამოაყენეს,—ბიუროკრატიამ... აკრძალა სტატისტიკურ ცნობების შეკრება...

მაგრამ ამით გაღარიბების დროებით დამალვა შეიძლებოდა, თვით გაღარიბების მოსპობა კი არა.

გაღარიბება არსებობდა და თანდათან იზრდებოდა უკმაყოფილება, რომელმაც ბოლოს სხვადასხვა არეულობის სახით იჩინა თავი.

აქაც სოფლების მოთხოვნილებანი რჩება გაუგებარი. პრესსისა, ლაპარაკის, კრებების თავისუფლების უქონლობა საშუალებას არ აძლევს სოფლელებს თავიანთი საზოგადო მოთხოვნილებანი წამოაყენონ და შეეთანხმონ იმათ, ვის წინააღმდეგაც არიან ამხედრებულნი. აქაც ბიუროკრატია აჩუმებს ყველას და აცხადებს, ხმის ამოღება ძირითად კანონებს არღვევსო.

მაგრამ სულ მუდამ გაჩუმება არ შეიძლება, არ შეიძლება იმიტომ, რომ გაჩუმება ხელს უშლის საზოგადოების თანდათან განვითარებას... დაგუბებული წყალი, ადრე თუ გვიან, დაარღვევს კალაპოტს და ხალხიც, ძალით გაჩუმებული, სხვის ხელში დამონებული, ადრე თუ გვიან, ხმას ამოიღებს და ეს მისი ხმა მაშინ ძლიერი იქნება, შესაზარი, შიშის მომგვრელი და სასტიკის ბრძოლის მომასწავებელი.

ამის თავიდან აცილება შეიძლება მხოლოდ იქ, სადაც ხალხს ლაპარაკის, პრესსის, შეკრების თავისუფლება აქვს მინიჭებული, სადაც ხალხს შეუძლიან გამოხატოს თავისი მოთხოვნილება და ამ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად შესაფერი ზომები მიიღოს...

მაგრამ ეს ხომ ბიუროკრატიისათვის საზარალოა, ეს ხომ ბიუროკრატიის მოსპობას უდრის სახელმწიფოში.

უდრის... და სწორედ ამიტომ არის, რომ ბიუროკრატია თავის ახლანდელ უფლებებს ებღაუჭება, ცდილობს შეირჩინოს თავისი უპირატესობა და დროებით მაინც დასტკბეს თავის ბატონობით.

ისტორიაში ხომ იყო ისეთი შემთხვევა, როდესაც მეფე ხალხის საერთო უკმაყოფილობის დროს სიამოვნებას ეძლეოდა, ქეიფში ატარებდა დროებას და დამშვიდებული გაიძახოდა:

„რა მენაღვლება! ჩემს შემდეგ ქვა-ქვაზედაც ნუ დარჩენილაო“.

ასე იქცევა ამჟამად ბიუროკრატიაც...

სტუმარი.

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

22 ივლისი.

ლონდონი, 22 ივლისი. ბრაისფერდი და მაგულდხა დამნაშავედ იცნეს ყალბ ქაღალდების შედგენაში, რათა რუსეთში წასასვლელად პასპორტები შოეღოთ, და ორთავეს ას-ასი გირვანქა სტერლინგი ჯარიმა გარდაუწყვიტეს. სანამ ამ ჯარიმას არ გადიხდიან, დამნაშავენი ციხეში იქნებიან.

კამიშინი, 22 ივლისი. სოფელი კრასნი იარი ნახევარზე მეტი გადიწვა. კრასნი იარი დიდი სოფელია. დაიწვა აუარებელი შენობა, 500 მეტი კომლი და მთელი მოსავალი. 3,000 კაცი უღუკმა-პუროდ ცის ქვეშ დარჩა.

კიევი, 22 ივლისი. ბირჟის შენობაში კრება იყო მრეწველთა და ვაჭრების წარმომადგენლებისა. კრებას დაესწრო ასმატუხი, რომელიც ფინანსთა სამინისტრომ სპარსეთის ყურეს ნავთსადგურებში გაჰგზავნა.

ოსაკა, 22 ივლისი. ჩრდილოეთ კორეაში საშინელი წყალდიდობა იყო. მდინარე ტუმენზე [illegible] ხიდები წაიღო, გზები გაფუჭებულია.

მარიინსკი, 22 ივლისი. გამოცხადებულია, რომ აგვისტოდან ციმბირის რკინის გზაზე კერძო საქონლის გადატან-გადმოტანა მოისპობა. აგვისტოს შემდეგ საქონელს ციმბირის ძველის გზა-ტკეცილით გადაზიდ-გადმოზიდავენ.

ლონდონი, 22 ივლისი. მაკულოხმა და ბრაილსფერდმა ჯარიმა გარდაიხადეს და ციხიდან განთავისუფლებულ იქმნენ.

მადრიდი, 22 ივლისი. ტახტის მემკვიდრე ფერდინანდი გარდაიცვალა.

სტოკჰოლმი, 22 ივლისი. სადილზე, რომელიც გერმანიის ესკადრის აფიცრებს გაუმართეს, მეფე ოსკარმა მადლობა უძღვნა გერმანიის იმპერატორს კეთილ-განწყობილებისათვის და სადღეგრძელო დალია იმპერატორისა და ფლოტისა. გერმანიის ადმირალმა სამადლობელი დალია და მეფე ოსკარი ადღეგრძელა.

პეტერბურგი. 12 დეკემბრის ბრძანების მეშვიდე მუხლის შესახებ მინისტრთა კომიტეტმა დაადგინა: ბალტიის ზღვის ახლო მდებარე გუბერნიებში სადმრთო სჯული, საეკლესიო გალობა და ადგილობრივი ენა სასწავლებლების ყველა კლასებში საშობლო ენაზე უნდა სწარმოებდეს. ერთ-კლასიან და რიგის სამოსწავლო ოლქის დანარჩენ პირველ-დაწყებით სასწავლებლის პირველ კლასებში არითმეტიკას სწავლების დროს, რუსულ ენის გარდა, ადგილობრივ მცხოვრებლების მოთხოვნილებათა დაგვარად, საშობლო ენითაც შეიძლება სარგებლობაო. ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და 1905 წლის 18 ივნისს ეს დებულება დაამტკიცა.

კოვნო, 22 ივლისი. გუბერნატორმა გამოსცა ცირკულიარი, რომლითაც საეროებო უფროსებს ურჩევს, სოფლის სათემო ურიადნიკებს მეტის პატივისცემითა და ყურადღებით მოექცნენ ხოლმეო.

სიმფეროპოლი, 22 ივლისი. ჯავშნიან გემის „პოტემკინის“ კომანდირის ქვრივი გაზეთში დაბეჭდილ წერილით უარჰყოფს იმ ცნობებს, ვითომც მის ქმარს წინდაწინვე საუწყები ჰქონოდა, რომ ახლო მომავალში არეულობა უნდა მოხდესო. მაგრამ მის მაინც კიდევ არავითარი ზომები არ მიეღო.

ლიბავა, 22 ივლისი. გუშინ საზღვაო მინისტრი კრეისერ „აზიით“ აბოში წავიდა. წასვლის წინად ყველა მეზღვაურთ თავი მოუყარეს იმპერატორ ალექსანდრე III-ის ნავთსადგურში. მინისტრმა მეზღვაურთ სიტყვით მიმართა და მიულოცა ხელმწიფის წყალობა, რომლითაც მატროსებს ნება ეძლევათ 16 ივნისის უწესობის შემდეგ ჩამორთმეული იარაღი ისევ ატარონ. მინისტრმა სთქვა: იმედი მაქვს, სამარცხვინო საქციელს გულმოდგინე სამსახურით გაასწორებთო. მინისტრის სიტყვის შემდეგ გადახდილ იქმნა პარაკლისი.

მოსკოვი, 22 ივლისი. ყველა ტაძარსა და დაწესებულებაში, რომლებიც იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასულს მფარველობის ქვეშ იმყოფება, გადახდილ იქმნა პარაკლისი მის უდიდებულესობის სადღეგრძელოდ.

პეტერბურგი. ოფიციალური. ობერ-ეგერმეისტერს, საპატიო მზრუნველს პავლე გოლენიშჩევ-კუტუზოვ-ტოლსტოის უმაღლესის გრამოტით ებოძა ორდენი ალექსანდრე ნეველისა.—უმაღლესი ბრძანება. სახელმწიფო საბჭოს კანონთა, სამოქალაქო და სასულიერო საქმეთა, სახელმწიფო ეკონომიისა, მრეწველობისა, მეცნიერებისა და ვაჭრობის დეპარტამენტების შეერთებულმა კრებამ, განიხილა რა შინაგან

ფელეტონი

ჰენრიკ იბსენის უკიდურეს ინდივიდუალიზმის განვითარება

„ზღვის ქალი“

„ზღვის ქალის“ უმთავრესი გმირი ელიდა არის. მისი ბუნება ზღვასა ჰგავდა, იგი სულით და გულით ზღვას ეკუთვნოდა. ელიდას უყვარდა ყველაფერი, რაც ზღვას აგონებდა, რაშიაც, როგორც სარკეში, ზღვის თვისებანი იხატებოდნენ, უყვარდა თავდავიწყებით და მხურვალედ! ზღვის ნაპირზე იგი შეხვდა მეზღვაურს, რომელიც ისეთივე თავდაუჭერელი და გატაცებული ბუნების კაცი იყო, როგორც ფრთონვის დროს აღელვებული ზღვა. ელიდამ არ იცოდა, საიდან იყო, ვინ იყო ეს მეზღვაური, მაგრამ გრძნობდა, რომ იგი, რაღაცა დამმონებელი, სტიქიური ძალით იყო აღჭურვილი; ამ ძალამ ელიდაც დაიმორჩილა. მეზღვაური და ელიდა დაინიშნენ და, როდესაც გარემოება ისე მოეწყო, რომ მეზღვაური უნდა გაქცეულიყო, მან უთხრა ელიდას, უთუოდ დავბრუნდები და მელოდეო! უთხრა და გაემგზავრა. გავიდა რამდენიმე წელიწადი, ელიდა თანდათან განთავისუფლდა იმ ძალისაგან, რომლითაც მეზღვაურმა იგი დაიმონავა. სწორედ ამ დროს მან გაიცნო ექიმი ვანგელი, რომელმაც მალე ცოლობაც სთხოვა. ვანგელს მაშინ ელიდა ჯერ არ უყვარდა. მას რამდენისამე ხნის წინად ცოლი მოუკვდა და შვილები უდედოდ დარჩნენ. ვანგელმა იფიქრა, ელიდა გამოდგება ამ საქმისთვისა და გადასწყვიტა შეერთო ცოლად. ელიდაც უსიყვარულოდ გაჰყვა ვანგელს, რასაც ბოლოს ძალიან ნანობდა.

„შენ მოხვედი, შემევაჭრე და ბოლოს მიყიდე კიდეც. მეც ჩემი თავი გავყიდეო!“

მაგრამ, როდესაც რამდენიმე წელიწადი ერთად იცხოვრეს, ვანგელს თანდათან მთელი თვისი არსებით შეუყვარდა ელიდა, იგი აღმერთებდა თავის ცოლს. ელიდას კი სულ სხვა საქმე მოუვიდა. მეზღვაურის უწინდელმა სიყვარულმა მას კვალი დაამჩნია, ზღვის სიყვარული მას მოსვენებას არ აძლევდა. რაწამს შორიდან ზღვას დაინახავდა, თრთოლით, კანკალით ხელებს გაიშვერდა და გულის სიღრმიდან აღმოხდებოდა კვნესასავით: „ზღვა არის“!.. ამ სიტყვებში თავის გაკიცხვა და სინამდვილე ისმოდა, თითქო ელიდა თავის თავს ეუბნებოდა: მღელვარე ზღვას და მის მეზღვაურს ეკუთვნოდი, მაგრამ მაინც შენი თავი გაყიდე!“

ელიდას შვილი ეყოლა. გულგახეთქილმა დაინახა, მის შვილს ისეთივე თვალები ჰქონდა, როგორც მეზღვაურს,—თვალები, რომლებშიაც უძირო ზღვა გამოიხატებოდა. ელიდამ მოიგონა მეზღვაურის სიტყვები: „მელოდე, დავბრუნდები, წაგიყვანო“! მან იგრძნო, რომ მეზღვაურის თავის დაპირებას შეასრულებდა და დაბრუნდებოდა. ამ აზრმა ელიდას თავზარი დასცა, მაგრამ სადღაც გულის სიღრმეში იგრძნო, რომ ენატრება, სულით და გულით უნდა მეზღვაური დანახვა. შიში თავზარსა სცემდა და იმავე დროს თვისკენაც იზიდავდა. ელიდამ ყველაფერი ქმარს განუცხადა.

რამდენისამე ხნის შემდეგ მახლობელ ფიოდში დიდი გემი გაჩერდა. ამ გემიდან მეზღვაური გადმოვიდა და ბაღში შეეფეთა ელიდას.

მეზღვაური მომხიბლავე და ალერსიანის ხმით ეუბნება ელიდას ზღვაში წამომყევიო, რადგანაც მე ჩემი პირობა შევასრულე და შენ წასაყვანად აქ მოვედიო. მეზღვაურის თვალები საოცარის ძალით ანათებდნენ... შეშინებული ელიდა ეხვეწება მეზღვაურს, ნუ მიყურებ აგრე, აქედან წადი; ვანგელი, ქმრის უფლების ძალით, მეზღვაურს სთხოვს, ჩემს ცოლს თავი დაანებეო. მეზღვაური კი ამბობს ამაზე: ,,ელიდა თვითონ, თავის ნებით უნდა წამოვიდეს ჩემთან და თავის ამნაირ მოქმედების პასუხის-მგებელი თვითონვე უნდა იყოსო“. „ჰხედავ, გესმის ვანგელ?—ამბობს შეკრთალი ელიდა:—იგი ამბობს, ჩემის ნებით წავალ, ჩემისავე ნებით!“ მეზღვაური ჰპირდება, ხვალ მოვალ და გემზედ თან წაგიყვანო! ელიდა ეხვეწება ქმარს, მისცეს მას სრული თავისუფლება, რადგანაც არც კი იცის, უყვარს თუ არა ის მეზღვაური! არ იცის იმიტომ, რომ არა აქვს უფლება შეიყვაროს ვინმე, იგი ქმრის საკუთრებაა, თავისუფლებას მოკლებული! ვანგელი პირობას აძლევს, მაშინ გაგანთავისუფლებ, როდესაც მეზღვაური ამ მხარეს მოშორდებაო. ელიდა უმტკიცებს, სწორედ ახლაა ჩემთვის საჭირო თავისუფლება, რადგანაც ხვალ მინდა დამოუკიდებელი და თავისუფალი წარვსდგე მეზღვაურის წინ, რომ ჩემი მისდამი გრძნობა გამოვიკვლიოო“. მეორე დღეს მოდის მეზღვაური და ეუბნება ელიდას, სამოგზაუროდ ყველაფერი მზად არის და წამომყევი, მაგრამ ისევ შენის ნებითვეო. გაბრაზებული ვანგელი მეზღვაურს უბრძანებს, თავი დაანებოს მის ცოლს. ელიდა კი მზად არის წაჰყვეს მეზღვაურს. მკითხველი გულის ფანცქალით ელის, რომ, აი, ელიდა გაბედავს და თამამად ეტყვის: „წამიყვანე, შენი ვარ და მოვდივარ შენთან“; მაგრამ უცებ ვანგელი მიუბრუნდება ცოლს და ეტყვის: ყველა იმ უფლებაზე, რომელსაც ქმრობა მანიჭებს, უარს ვამბობ, სრულიად განთავისუფლებ ცოლის ყოველგვარ დამოკიდებულებისაგანო! დიე, ისე იცხოვრე, როგორც გსურს,—თუ გიყვარს მეზღვაური, წაჰყევი შენის ნებითო! ამნაირად, ელიდამ თავისუფლად იგრძნო თავისი თავი, არავითარი ცოლ-ქმრობის მოვალეობა მას აღარ იჭერს, ქმრის უფლება მას აღარ აჩერებს, მან მიიღო თავისუფალ არჩევის ნება და აირჩია... ქმართან დარჩენა!!..

„ის, ვინც ხმელეთზე მცხოვრები შეიქმნა, თავის დღეში თავისუფალ ზღვისკენ და ზღვის ცხოვრებისკენ გზას ვეღარ იპოვნის“,—დაღონებით გამოტყდა ელიდა!

დიალაც!—უპასუხებენ მას: ადამიანი ყოველთვის და ყველგან ცხოვრების ახალ პირობებს ეჩვევა. ამნაირად, ელიდა სამუდამოდ განშორდა უსაზღვრო ზღვას, დაივიწყა თავისუფალი ცხოვრება, შეეჩვია ოჯახურ კერას, როგორც გარეული იხვი სახლის ჩარდახსა და ეზოს!

ღრმა პესსიმიზმით არის გაჟღენთილი მთელი ეს დრამა. ჩვენ არა გვაქვს უფლება ვიფიქროთ, ელიდა მართლა იმიტომ დარჩა ქმართან, რომ მან თავის ცოლს სრული თავისუფლება მიანიჭა. ვანგელს ცოლისთვის ნამდვილად არავითარი თავისუფლება არ მიუცია. იგი მას ბოლომდე იჭერდა, მაგრამ, როდესაც დაინახა, რომ ელიდას ძალით დაჭერა შეუძლებელია, უკანასკნელ საშუალებას მიმართა და მისცა თავისუფლება... ვანგელს ესმოდა, რომ ელიდა მასთან დარჩება, რომ მას უნდა კიდეც დარჩენა, ოღონდ ისე კი უნდა გამოჩნდეს გარეგნად მაინც, ვითომც იგი დარჩა თავის საკუთარის სურვილით და არა იმიტომ, რომ ქმარმა მას წასვლის ნება არ მისცა.

იბსენის კრიტიკამ ამ გარემოებას ყურადღება არ მიაქცია. კრიტიკოსებს ჰგონიათ, იბსენი ამ დრამაში იმ აზრს ატარებსო, რომ საჭიროა ცოლისთვის თავისუფლების მიცემა და მხოლოდ მაშინ იქნებაო ბედნიერი ადამიანის ოჯახური ცხოვრება.

რასაკვირველია იბსენი ამ აზრის წინააღმდეგი არას დროს არა ყოფილა, მაგრამ ამ დრამაში კი მაინც ეს აზრი არ არის გატარებული. ელიდა მეზღვაურს არ გაჰყვა მხოლოდ იმიტომ, რომ გადაეჩვია ზღვაზე თავისუფალ ცხოვრებას და შეეჩვია ოჯახის კერას; მას ახლა აშინებს ზღვის ღელვა და ტალღების ბრძოლა, ზღვაში გემების დაღუპვა! აქ ზღვა—თავისუფლების სიმბოლოა არის... ვანგელთან ოჯახურმა ცხოვრებამ სამუდამო კვალი დააჩნია ელიდას. ამის მიუხედავად, ელიდას ბუნებაში კიდევ ბჟუტავს მისწრაფება დამოუკიდებლობისადმი, მას უნდა თვითონვე განაგოს თავის ცხოვრება. გულში სურს ქმართან დარჩეს, მხოლოდ ეს უნდა მოხდეს ძალდაუტანებლად და თვის ნებით, და არა ვანგელის ბრძანებით. ჰკვიან ვანგელს მშვენივრად ესმის ელიდას გულის თქმა და ეუბნება: „ელიდა თავისუფალი ხარ! ელიდას რომ არა ნდომებოდა ოჯახში დარჩენა, იგი არც დარჩებოდა, იმიტომ რომ შეუძლებელია ვიფიქროთ ვანგელის ცარიელ სიტყვებს შესძლებოდა მისი გულის ასე ადვილად გალხობა. ელიდას უნდოდა დარჩენა. თვითონ ვანგელიც გამოტყდა, რომ თავისუფლება მიანიჭა მას მხოლოდ იმიტომ, რომ უნდოდა ელიდა ამნაირად დარჩენილიყო. „როდესაც საჭიროა, ამბობს ვანგელი: ჩვენ, ექიმებმა, ყველაფრის მსხვერპლად მოტანა ვიცით და ამით მიზნის მიღწევა გვეადვილდებაო“.

ამნაირად ელიდამ დაარწმუნა თავისი თავი, მხოლოდ იმიტომ დავრჩი, რომ ქმარმა სრული თავისუფლება მომცაო. ამ „ცხოვრების სიცრუის“ საშვალებით მან დაამშვიდა თავისი სვინდისი, რომელიც ჰქენჯნიდა; ჰქენჯნიდა იმიტომ, რომ მან უღალატა თვის დანიშნულებას, უღალატა თავისუფალ ზღვას და მეზღვაურსაც. „გარეულ იხვში“ იბსენი იმ აზრს ატარებს, რომ თავის მოტყუილება და „ცხოვრების სიცრუე“ ჩვეულებრივ ადამიანისთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს. „ზღვის ქალში“ იბსენი უფრო შორს მიდის და ამტკიცებს, რომ თავ-მოტყუილება საჭიროა არა მარტო ჩვეულებრივი ადამიანისთვის, არამედ ისეთ ღრმა, რთულ და სტიქიურ ბუნებოვან პიროვნებისთვისაც, როგორიც ზღვის ქალი,—ელიდა არის! გარეული იხვი მხოლოდ ჩვეულებრივი კაცის სიმბოლო იყო ეხლა კი იგი მთელი ქვეყნიერების სიმბოლო შეიქმნა, იმ ქვეყნიერებისა, რომელიც გარემოცულია სიცრუით, ოცნებით და თავის მოტყუილებითაც.

ეს არის საბოლოო განაჩენი, რომელიც ამ დრამაში მთელ კაცობრიობას წაუკითხა იბსენმა.

„ხუროთ-მოძღვარი სოლნესი“.

იბსენმა თანდათან მეტის უიმედობით და ზიზღით დაუწყო ყურება საზოგადოებასა და საზოგადო მოღვაწეს. შეიძლებოდა კაცს ეფიქრა, რომ იბსენი თავს დაანებებდა მწერლობას, მაგრამ, საბედნიეროდ, მისი შემოქმედი ნიჭი საზრდოს თხოულობდა და იბსენსაც ამიტომ არ შეეძლო წერაზე ხელი აეღო. ჩვენ ნათლად დავინახავთ, რა გავლენა იქონია და რა მიმართულება მისცა მის თხზულებებს ღრმა პესსიმიზმმა, როდესაც გავარჩევთ შემდეგ დაწერილ დრამებს. წინად იბსენის დრამების თემას შეადგენდა ოჯახი, სარწმუნოება და საზოგადოება. იგი ყოველთვის უყურებდა პიროვნებას, როგორც ოჯახის ან საზოგადოების წევრს. ზოგი მისი გმირთაგანი დაუნდობლად ჰკიცხავდა ოჯახის მდგომარეობას, უთითებდა ოჯახის წევრთა შორის ანორმალურ განწყობილებაზე, მათ ურთიერთობაში სიცრუესა და სიყალბეს ხედავდა. იგინი ქადაგებდნენ სიმართლეს და მხოლოდ სიმართლეს. ზოგნი კიდევ ჰკიცხავენ და ჰგმობენ სარწმუნოებას და საზოგადოებრივ წესწყობილებას. ბრანდი ამტკიცებს,—ღმერთი დაბერდა, საჭირო არისო მისი დამარხვა. „ჩემი ღმერთი,—ამბობს იგი—გრიგალია, შენი კი—უთავლო ქარია; ჩემი—შეუბრალებელია, შენი კი ყრუა; ჩემი—სიყვარულით სავსეა, შენი კი—გულ-გრილი; ჩემი ახალგაზრდაა და არ აბერდება, როგორც შენი!“ შტოკმანი ჰკიცხავს თანამედროვე წესწყობილებას, რომელიც უმრავლესობის პოზიციაზეა აგებული; იგი ამტკიცებს, უმრავლესობა ყოველთვის სტყუის და უმცირესობა არისო მართალი.

იბსენის გმირებს საზოგადოდ უყვართ საზოგადოება, სულით ძლიერნი მას სასარგებლოდ, მოღვაწეობენ მისთვის, მაგრამ მადლობის ნაცვლად საზოგადოება მათ ემტერება და სდევნის. იბსენი ამ საზოგადო მოღვაწეებს იცავდა. თავის სასტიკი კრიტიკით თავს ესხმოდა საზოგადოებას და ძლიერ პიროვნებას იდეალად სახავდა. მაგრამ ეს გარემოება ჩვენ ნებას არ გვაძლევს ვუწოდოთ იბსენს „უკიდურესი ინდივიდუალისტი“, იმიტომ, რომ იგი მაინც საზოგადოების ინტერესებს და მის ბედნიერებას უფრო მაღლა აყენებდა, ვიდრე პიროვნებას: მისი გმირები ყველანი საზოგადოებას ემსახურებიან.

უკიდურესი ინდივიდუალიზმი პირდაპირ შედეგად მოჰყვა იბსენის პესსიმიზმს. რადგანაც იბსენი ხალხს ზიზღით უყურებს, მას აღარ აინტე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმეთა მინისტრის მოხსენება იმის შესახებ, თუ რა გზით შეიცვალოს აწ არსებული დებულებანი ებრაელთა შესახებ და რა გზით მიუყენოთ 1904 წლის 11 აგვისტოს გამოცემული უმაღლესი ბრძანება—დაადგინა: ხელოსან ებრაელებს იმ ადგილების დაბა-ქალაქებში საცხოვრებლად, რომლებიც ებრაელებსა აქვთ მიჩენილი და სადაც სახელოსნო სამმართველოები არის სახელოსნო მოწმობები ეძლევათ ამ მმართველობათაგან, ხოლო ისეთ დაბა-ქალაქებში, სადაც სახელოსნო სამმართველოები არ არის, ხელოსან-ებრაელებს სახელოსნო მოწმობის ნაცვლად, ადგილობრივმა ქალაქის მმართველობამ ან ქალაქის მოურავმა და მამასახლისმა უნდა მისცენ იმის მოწმობები, რომ მათ ხელობა იციან. დებულების მე-779 მუხლის 1 შენიშვნა, რომელიც ებრაელებს სამოსახლო ფარგლიდან სხვა დაბა-ქალაქებში გადასვლას უკრძალავს, არ ეხება მეაფთიაქეთა თანაშემწეებს, კბილის ექიმებს, ფერშლებს, ბებია-ქალებს, ქვის მთლელებს, დურგლებს, მებათქაშეებს, მებადეებს, ქუჩის მომკირწყვლელებსა და მიწის მთხრელებს. ამ მუხლში აღნიშნულ ხელობის ცოდნის მოწმობები ეძლევათ ადგილობრივ ქალაქის სამმართველოდან, ქალაქის მოურავისა ან მამასახლისისაგან. მოწმობების მიცემისას სახელოსნო და საქალაქო სამმართველოები შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ გამოცემულ წესდებით ხელმძღვანელობენ, რომელიც აღნიშნულია ქონებრივ მდგომარეობის კანონთა დებულების მე-796 მუხლის დამატებად მე-13 მუხლში და სამრეწველო წესდების მე-284 მუხლის შენიშვნაში. ეს ინსტრუქციები საჯაროდ უნდა გამოცხადდეს. ქალაქის გამგეობისა, მოურავისა ან მამასახლისის უკანონო მოქმედებაზე მოწმობების მიცემის დროს საჩივარი კანონიერის წესით უნდა წარედგინოს საგუბერნიო სამმართველოში. ის ხელოსანი და ზემოაღნიშნული ებრაელები, რომლებიც კანონის მიერ მიჩენილ გუბერნიების დაბა-ქალაქებში მოსახლეობენ, უკეთუ თავის ხელობას თავი დაანებეს, გადასახლებულ იქმნებიან იქავე, საიდანაც გადმოსახლდნენ. ამ ებრაელებს ადგილობრივმა პოლიციამ უნდა ადევნოს თვალყური და, თუ შეატყო, რომ ხელოსანმა ებრაელმა ხელობას თავი დაანება, უმაღლეს მთავრობას უნდა მოახსენოს, რომელიც გადასახლების შესახებ განკარგულებას მოახდენს. სახელმწიფო საბჭოს ეს დადგენილება ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და უმაღლესად დაამტკიცა ამა 1905 წ. 11 ივლისს და მისი აღსრულება ბრძანა.

პეტერბურგი. პოლიციის დეპარტამენტისაგან: 15 ივლისს კავკავის რკინის გზის შტოზე, ნოვოროსიისკის სადგურზე, რკინის გზის ყველა მუშები და ხელოსნები გაიფიცნენ. გაფიცულებს არავითარი უწესოება არ მოუხდენიათ, მაგრამ მუშაობაზე ხელის აღებამ 16 ივლისიდან საქონლისა და სახალხო მატარებლების მიმოსვლა შეაჩერა, მხოლოდ საფოსტო მატარებელი გაიგზავნა დანიშნულ დროს. მეორე დღეს გაფიცულებს შეუერთდნენ ცემენტის ქარხნებისა, ელევატორისა და ყველა ნავთსადგურების მუშები. მუშების დასამშვიდებლად ჩერნომორიის გუბერნატორმა 18 ივლისს გაფიცულებთან პირადი მოლაპარაკება გამართა. იგი დაჰპირდა მუშებს, რომ კანონიერს ფარგალში უეჭველად მათი სამართლიანი მოთხოვნილება დაკმაყოფილებული იქმნება. გაფიცულთა უმრავლესობა თითქმის დაათანხმა, მაგრამ აგიტატორებმა თავისი გაიტანეს. გაფიცულთა ერთმა ნაწილმა განიზრახა ნოვოროსიისკიდან საფოსტო მატარებლის გასვლისათვის ხელი შეეშალა, მაგრამ ვერას გახდა: საფოსტო მატარებელი ჯარის თანხლებით სადგურიდან მაინც გავიდა. 19 ივლისს რკინის გზის ადმინისტრაციამ განკარგულება მოახდინა, რომ ყველა მატარებლები დანიშნულ დროზე გასულიყვნენ, მაგრამ გაფიცულებმა ჩვეულებრივს ხერხს მიმართეს: მატარებლებს ადგილიდან დაძვრის ნებას არ აძლევდნენ. ასეთი ცდა დილის 9 საათზე იყო, მაგრამ უნაყოფოდ. ნაშუადღევის ორ საათზე, როცა სახალხო მატარებელი უნდა გასულიყო, მის გაჩერებასაც შეეცადნენ. ათასამდე მუშა ლიანდაგზე მოიყარა თავი და სადგურისაკენ გამოემართა. გაფიცულთ მატარებლის შეჩერება და დეპოში ორთქლმავლების დაზიანება სურდათ. ჟანდარმების რჩევა-ხვეწნამ გაფიცულნი ვერ დააწყნარა, გააბრაზა კიდეც. მაშინ ჟანდარმთა როტმისტრმა სამხედრო მთავრობას მიმართა: გაფანტეთ გაფიცულნიო. სადგურზე ერთი როტა ქვეითა ჯარი და ორასი კაზაკი იყო. როტის უფროსმა ანიშნა ხალხს შეჩერებულიყო და დარიგება დაუწყო, მაგრამ უნაყოფოდ. მაშინ, მისის ბრძანებით, ასი კაზაკი, ხმლის ამოუწვდელად, გაექანა შეჯგუფებულ მუშებისაკენ და შუაზე გაარღვია. ხალხი ლიანდაგის აქეთ და იქით მხარეს მოექცა. მუშებმა კაზაკებს რევოლვერები დაუშინეს და ერთი კაზაკი მოჰკლეს. გაფიცულნი ისევ შეჯგუფდნენ და სადგურისაკენ მდგარ როტისაკენ გასწიეს. ასეთმა საქციელმა როტის უფროსის ბრძანება გამოიწვია: ესროლეთო. სროლა კაზაკებმაც დაიწყეს. ხალხი გაიფანტა და ადგილობრივ 30 მოკლული და 22 დაჭრილი დასტოვა. როცა დაჭრილებს საქმით დახმარება აღმოუჩინეს, საფოსტო მატარებელი დანიშნულებისამებრ გაიგზავნა. ამის შემდეგ მთელის დღის განმავლობაში მატარებლები დაუბრკოლებლად მოძრაობდნენ.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები.

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

22 ივლისი

ნიუ-იორკი, 22 ივლისი. „ნიუ-იორკ-ტაიმს“-ის სიტყვით, იაპონიამ გადასწყვიტა, მანჯურიას თავი არ დაანებოს, რადგან ფუზანო-სეულისა და აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზებს ახალის ლიანდაგით აერთებენო. იაპონიამ ამერიკაში შეუკვეთა 350 ხიდი, 150 ორთქლ-მავალი და 2000 ვაგონიო.

ოსტერბეი, 22 ივლისი. ერთ კორესპონდენტთან ლაპარაკის დროს სატომ განაცხადა, ორივე დელეგაციას ზავის ჩამოგდება სურსო. სატოს ფიქრით, ზავი მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩამოვარდება, თუ ორივე მხარე საკმარის კეთილ გონიერებას გამოიჩენს.

ნიუ-იორკი, 22 ივლისი. რუსის დელეგატები ჟურნალისტებთან ლაპარაკზე უარს ამბობენ. ვიტტემ განაცხადა, რაც უკვე ვსთქვი, იმაზე მეტს ველარას ვიტყვიო. ამალის ორ წევრთან ერთად ვიტტემ დაათვალიერა ბირჟაც. ბირჟიდან რომ გამოვიდა, ხალხი აღტაცებით მიეგება. მანიფესტაციაში მომეტებულ მონაწილეობას იღებდნენ სლავიანები. მთავრობას და მუნიციპალიტეტს მონაწილეობა არ მიუღიათ.

ტოკიო, 22 ივლისი. როგორც იუწყებიან, ტუმენის სამხრეთით მოწინააღმდეგენი ერთმანეთზე ძალიან ახლო სდგანან. ახლო მომავალში შეტაკება აუცილებელია.

სიტიაზა, 22 ივლისი. კუროპატკინის თაოსნობით შემოწირულებანი, რომელიც მას მისდის ჯარის საჭიროებისათვის, ომში დაჭრილთა და უვარგისად ცნობილთ ხმარდება. ფული მალე გამოელევა, დაჭრილი კი ურიცხვია. საჭიროა დახმარება.

ნიუ იორკი, 22 ივლისი. („ტაიმსი“) საბოლოოდ გარდაწყვეტილია, რომ ზავის კონფერენცია პორტ-სმუტში უნდა შესდგეს 26 ივლისს. ვადის დაჩქარება რუსის რწმუნებულთ მოისურვეს.

ნიუ-იორკი, 22 ივლისი. ხვალ პრეზიდენტი ოსტერბეიში ოფიციალურად ვიტტესა და კომურას მიიღებს. რადგანაც იაპონლები ამერიკაში უფრო ადრე მივიდნენ, ამიტომ ისინი პრეზიდენტთან რუსებზე ნახევარ საათით წინ მივლენ. როგორც ამბობენ, რუზველტი ამ ნახევარ საათს იმას მოანდომებს, რომ იაპონლები ზომიერ მოთხოვნილებებზე დაითანხმოსო.

ოსაკა, 21 ივლისი. იაპონიის შუა გულ ჯარის წინ რუსებმა დიდძალს ჯარს მოუყარეს თავი. რუსის ჯარს ჩრდილოეთ კორეაში თანდათან ემატება. 30,000 კაცი ხერიანგთან არის დაბანაკებული, 30,000—ლაუნჩუნთან, მდინარე ტუმენთან ჩრდილოეთით რუსები სიმაგრეებს აშენებენ.

შანჰაი, 21 ივლისი. მდინარე ტუმენის სამხრეთით რუსებს ერთი დივიზია ჰყავთ.

ნიუ იორკი, 22 ივლისი. სატო ერთს კორესპონდენტს ესაუბრა და, სხვათა შორის, ის აზრი გამოსთქვა, რომ იაპონია მოსთხოვს რუსეთს მილიარდ-ნახევარ მანათს. ერთი მილიარდი ომზე დახარჯული ფულია, ხოლო ნახევარ მილიარდი ჯარების უკანვე გადასაყვანად და გემების შესაკეთებლად დაგვჭირდებაო. როგორც ეტყობა, იაპონელებს იმედი აქვთ, რომ საქმე კეთილად დაბოლოვდება, რუსები კი საქმეს ეჭვის თვალით უყურებენ.

ნიუ იორკი, 22 ივლისი. ვიტტეს განცხადებამ იაპონელებს ეჭვი აღუძრა. სატოს სჯერა, რომ ვიტტე ფართო უფლებებით არის აღჭურვილი, და ამბობს, ადვილათ შესაძლებელია საქმე კარგად გათავდეს, რადგან იაპონელების მოთხოვნილებანი გადაჭარბებული არ არისო.—ვიტტე დღეს რუზველტთან იყო, ხვალ კომურას ინახულებს.

გუნჯულინი, 21 ივლისი. (საკუთარ კორესპ.) ის ხმები, ვითომ იაპონიის ჯარში ხოლერა და შავი ჭირი გაჩნდაო, გამართლდა. გატყობინებთ ამას პირველად, რადგან ეს ხმები არა მცდაროდა. ჩვენი ჯარის სანიტარული მდგომარეობა მშვენიერია, ცუდი ამინდებია.

(ღამის დეპეშები იხ. მე-4-ხე გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

იაპონელთა პირობები. „კელ. გაზ.“-ში დაბეჭდილია საინტერესო კორესპონდენცია იაპონიიდან შესახებ იმისა, თუ რა გუნებაზე არიან ამჟამად იაპონელები. იაპონელთა უმეტესობას—იწერება კორესპონდენტი—ზავი არ უნდა. ზავი პორტ-არტურის აღებისა და ლიაოიანის აღების შემდეგ უფრო უნდოდათ, ვიდრე ეხლა. მუკდენის დამარცხებამ იაპონელებში მეომრული გატაცება გამოიწვია, რუსეთის ფლოტის განადგურებამ კი საბოლოოდ გაამხნევა იაპონელები და დაარწმუნა, რომ რუსეთს მათი დამარცხება არ შეუძლიან. უმეტესობა თხოულობს, ომი რუსეთის ტერიტორიაზე გადაიტანეთ და რუსეთს წაგლიჯეთ რამეო. ზავის შესახებ თავის აზრი ყველა პოლიტიკურმა პარტიამ გამოსთქვა. განთქმულმა ტაირო დაშიკაის კავშირმა, რომელიც რუსეთის მოძულეთაგან შესდგება, შემდეგი რეზოლუცია მიიღო: 1) უსურიის მხარე, ამურის მარჯვენა ნაპირები და სახალინი რუსეთმა იაპონიას უნდა დაუთმოს; 2) აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზა და რუსეთის-მიერ ჩინეთში იჯარით აღებული მიწები იაპონიას გადაეცემა; 3) რუსეთი მანჯურიიდან ჯარს გაიყვანს და ამ პროვინციაზე სრულ უარს იტყვის; 4) რუსეთი გადაიხდის კონტრიბუციას—3 მილიარდ მანათს; 5) რუსეთის ყველა გემები, რომელთაც ომის დროს სანეიტრალო სახელმწიფოებს შეაფარეს თავი, იაპონიას გადაეცემა; იაპონიასვე მიეცემა ამურის ნაპირებზე თევზის ჭერის უფლება; ბლაგოვეშჩენსკი და სრეტენსკი თავისუფალი უნდა იყოს ვაჭრობისათვის; 6) მოლაპარაკება იაპონიაში უნდა მოხდეს.

ტოკიოს უნივერსიტეტის პროფესორთა ერთმა ჯგუფმა, რომელსაც დიდი გავლენა აქვს იაპონიის იმპერატორზე და საგარეო პოლიტიკაზე, ომის გაგრძელება მოითხოვა და დაადგინა: 1) ამურის ნაპირები, სახალინი და კამჩატკა იაპონიას დაეთმობა; 2) მანჯურიის საქმე მხოლოდ ჩინეთმა და იაპონიამ უნდა გადასწყვიტონ; 3) იაპონიამ უნდა მიიღოს მანჯურიაში ყველა მადაროები და სახაზინო შენობები; 4) რუსეთს სამხედრო ფლოტი არ უნდა ჰყავდეს დიდ ოკეანესა და იაპონიის ზღვაში; 5) ბაიკალს აქედ რუსეთს განსაზღვრული ჯარი უნდა ჰყავდეს; 6) რუსეთი იაპონიის ნებადაურთველათ ჩინეთში ვერავითარ უფლებას ვერ მიიღებს; მე-7 და მე-8 მუხლები იმასვე თხოულობენ, რასაც ზემოდ-მოყვანილ რეზოლუციის მე-2, მე-4 და მე-5 მუხლები თხოულობენ.

პროგრესისტთა პარტია გრაფ ოკუმას სადგომში შეიკრიბა და შემდეგი რეზოლუცია მიიღო: 1) სახალინი იაპონიის ხელში გადადის; 2) ვლადივოსტოკში ყველა სახელმწიფოებს ვაჭრობის თანასწორი უფლება აქვთ; 3) იაპონიას ამურის ნაპირებზე თევზის ჭერის უფლება ეძლევა; 4) იაპონიას კონტრიბუციად 2 მილიარდი მანათი მიეცემა; მე-5 და მე-6 მუხლები განმეორებაა ზემოდ-მოყვანილ რეზოლუციის 2 მუხლსა. (ნ. დ).

ახალი ამბავი

როგორც ამბობენ, მომავალ სამოსწავლო წლიდან **სოფლის საზოგადოებანი აირჩევენ სკოლის სამზრუნველო საბჭოს.** ამ საბჭოს ნება ექმნება, მასწავლებელიც თვითონ მიიწვიოს და თვითონვე გადასწყვიტოს, რა ენაზე ასწავლოს სკოლებში ბავშვებს.

✦ ბაქოს დრ. გენერალ გუბერნატორმა გენერალმა ფადდეევმა შესაძლოდ სცნო, გაეუქმებინა ყოფილ გენერალ-გუბერნატორის თავ. ამილახორის განკარგულება გაზეთ „ბაკინსკია იზვესტია“-ს დახურვის შესახებ და **ნება დართო ამ გაზეთის რედაქტორს, კვლავინდებურად გამოსცეს გაზეთი.**

✦ „ნოვ. ობ“-ს სიტყვით, ბათუმის მცხოვრები **მამედ-ბეგ-აბაშიძე შუამდგომლობს ნამესტნიკის წინაშე,** მიეცეს მას ნება-რთვა **გამოსცეს ბათუმში ყოველდღიური გაზეთი თათრულ ენაზე.**

✦ გუშინწინ, ნაშუადღევის 1 საათზე, რკინის გზის მთავარ სახელოსნოებში **რევოლვერით მოჰკლეს** სადურგლო ამქრის უფროსი მუშა სოშკინი.

✦ ხმა დადის, რომ ახლად დანიშნული ექსარხოსი ნიკოლოოზი **აღარ აპირებს ჩამოსვლასაო.**

✦ **მალაკანთა კრებას ვორონცოვკაში** დაესწრო 3,000 კაცამდე. გადახდილ იქნა პარაკლისი. ნამესტნიკი დიდხანს ესაუბრა მალაკნებს. შემდეგ მათთან ერთად სურათი გადიღო. ნამესტნიკი ტფილისს დაბრუნდა.

✦ როგორც გვატყობინებენ, **ტფილისის მაზრის უფროსად,** ნაცვლად ლ. გ. ჯანდიერისა, დუშეთის მაზრის უფროსს ფონ-ბოუნგარტენს ნიშნავენო.

✦ სართიჭალის ბოქაულმა აცნობა ტფილისის მაზრის უფროსს, რომ ივრის ხეობის სასოფლო საზოგადოებებმა ხალხის მოძრაობის დაწყების დღიდან **დაითხოვეს მამასახლისები,** სოფლის მწერლები, სოფლის სხვა მოხელენი და დახურეს სოფლის კანცელარიები. ამით ხალხმა ყოველივე კავშირი შესწყვიტა მთავრობის დაწესებულებებთანაო. მაისის ბოლო რიცხვებში,—სწერს შემდეგ ბოქაული,—კახაკ-რუსებით ვიყავ პატარძეულის საზოგადოებაში და, როცა ხალხს წინადადება მივეცი, მთავრობის დაწესებულებასთან დამოკიდებულება გაანახლეთ-მეთქი, მათ თანხმობა განაცხადეს და მამასახლისი აირჩიეს. რაც შეეხება ნინოწმინდისა, საგარეჯოსა, გიორგი წმინდისა და მანავის სოფლის საზოგადოებათ, ისინი დღევანდლამდე განკერძოვებულნი არიან: იქ არც მამასახლისია და არც სხვა სოფლის მოხელე, რის გამო არ შემიძლიან ჩემი თანამდებობა აღვასრულოო. ბოქაული სთხოვს მაზრის უფროსს, განკარგულება მოახდინოს ამ საქმის გამო. მაზრის უფროსმა ეს ამბავი მომრიგებელ-შუამავალს აცნობა და სთხოვა, შეუდგეს აღნიშნულ სოფლებში მამასახლისების არჩევას და ძველ წესწყობილების აღდგენას (ც. ფ.).

✦ გორის ეპისკოპოზს ექვთიმეს შუამდგომლობა აღუძრავს უმაღლესს სასულიერო მთავრობის წინაშე, რომ **მიღებულ იქმნენ ის** 25 **მოწაფეც,** რომელთაც სასულიერო სემინარიაში შესვლის ნება აღარ აქვთ.

✦ როგორც დუშეთიდან გვატყობინებენ, გაბსვენებულ როინაშვილისეულ საქალაქო სამკითხველოს, რომელიც დღემდის დახურული იყო, **მოქმედება ისევ დაუწყვია.**

✦ ბაქოში, 22 ივლისს, დაჭრილი **ჟანდარმი ზვონოვი მომკვდარა.**

რესებს მისი საზოგადოებრივი კითხვები, იგი აღარ არჩევს ოჯახის, სარწმუნოების და საზოგადოების მდგომარეობას,—ახლა მას აინტერესებს ადამიანი, არა როგორც საზოგადოებრივი მოღვაწე, არამედ როგორც ცალკე პიროვნება, თავის საკუთარ ფსიხოლოგიით ნორვეგიელი დრამატურგი იმორალისტი ხდება.

დრამა „გედდა გაბლერ“ თავის ობიექტივობით აკვირვებს მკითხველს. დრამაში არა სჩანს, ვის თანაუგრძნობს იბსენი; მისი შეხედულობა საიდუმლოებით არის მოცული. გედდა გაბლერის რთული პიროვნება და მისი ფსიხოლოგია—ეს არის იბსენის თემა. გეორგ ბრანდესი ამნაირად ახასიათებს გაბლერს: „გედდა არ არის ფანატიკოსი ადამიანი, ის არის—ახალგაზდა ქალის ანალიზი და სინტეზი, საკვირველის სისწორით გატარებული; ბუნებისაგან უხვად დაჯილდოვებული, მაგრამ გონება-განუვითარებელი; ერთსა და იმავე დროს მშიშარა და ძლიერი, გატაცებული და საზოგადოებრივ ჩვეულების მონა; იგი ისწრაფვის „მაღლა“ და ამავე დროს ცხოვრების საზიზღრებში იფლობა. ერთის სიტყვით, იგი ტიპიური დეკადენტია“.

გედდა გაბლერში ჩვენ უკვე ვხედავთ, რომ იბსენი ახასიათებს განცალკევებულს პიროვნებას და არა საზოგადოების წევრს. ეს დრამა მისი უკანასკნელი რეალური თხზულებაა. ორი წლის შემდეგ მან დასწერა „ხუროთ-მოძღვარი სოლნესი“, ღრმა სიმბოლიური ტრაგედია. ამ თხზულებაში იბსენმა ისე ღრმად ჩაიხედა ადამიანის გულში, რომ აქ თამამად შეიძლება შექსპირს დავადაროთ იბსენი.

დრამის გმირი სოლნესი მეტად მორწმუნე და ღვთისნიერ ოჯახის შვილი იყო. ამიტომ, როდესაც ხუროობის ნიჭი გამოიჩინა, მან დაიწყო საყდრების და სამრეკლოების შენება. სოლნესმა დიდი სახელი მოიხვეჭა ერთ მაღალ სამრეკლოს აშენებით, რომლის წვერზედაც თვითონ ავიდა და აუარებელ ხალხის თვალ წინ დაადგა გვირგვინი სამრეკლოს უმაღლეს წერტილს. როდესაც სოლნესმა თავისი თავი ამ სიმაღლეზე დაინახა, მან იგრძნო ძალა და ღმერთს ასეთის სიტყვებით მიმართა: „ყური დამიგდე, ყოვლად ძლიერო! მე აღარა მსურს შენ გემსახურო, აღარა მსურს ის ვაშენო, რაც შენ გინდა! მე მინდა ჩემს ხელოვნებაში ისეთივე თავისუფალი ვიყო, როგორც შენ შენს საკუთარ საქმეში. ეხლა მე ავაშენებ მხოლოდ სახლებს ხალხისთვის“.

ამის შემდეგ სოლნესმა მართლა დაანება თავი საყდრებისა და სამრეკლოების აგებას. მან ხალხისთვის სახლების შენებას მიჰყო ხელი, ესე იგი, საზოგადოებრივი მოღვაწე შეიქმნა. გავიდა კარგა ხანი, სოლნესი თანდათან დაბერდა, გულში ნელ-ნელა ეჭვი შეეპარა თავის შემოქმედებითს ნიჭზე,—იქნება მხოლოდ ბედის წყალობით მოიხვეჭა ხუროს სახელი და არა ნიჭის მეოხებით? ეს ეჭვი მას მოსვენებას არ აძლევს. სოლნესს ეშინიან, ვაი თუ მაჯობოს რომელმამე ახალგაზდა ძალამ და ნიჭმა; ახალგაზდობა ყოველთვის და ყველა ცვლილებას სათავეში უდგას, იგი ლაშქრობს ახალ დროშის ქვეშ! აი, მაგალითად, სოლნესის კანტორაში მუშაობს რაგნარი, ნიჭიერი და ენერგიული ახალგაზდა. თავის ძალასა და ნიჭში დარწმუნებული რომ იყოს, მაშინვე სოლნესისაგან დამოუკიდებლად მოინდომებდა მუშაობას და, იქნება, თავისი მასწავლებელი დაჩრდილოს კიდეც. სოლნესი სცდილობს, ჭაბუკს თავის-თავისადმი რწმენა მოუკლას, დაარწმუნოს იგი, რომ შრომა და წარმატება მას შეუძლიან მხოლოდ სოლნესის ზედამხედველობით, და უნდა ამნაირად რაგნარი თავის კანტორაში შეირჩინოს. მან თავბრუ დაჰხვია რაგნარის საცოლო კაიას, ზნეობრივად დაიმონა იგი და მასაც სამუშაო მისცა კანტორაში. ეს მით უფრო ხელსაყრელი იყო სოლნესისათვის, რომ რაგნარი თავის საცოლოს გულისთვის უთუოდ მასთან დარჩებოდა. ასეთი საქციელი ზნეობრივად რომ გავარჩიოთ, რასაკვირველია, ცუდია, მაგრამ ამ ხუროსთვის მორალი აღარ არსებობს: იგი სიკეთის და ბოროტების იქითა ნაპირას სდგას. მისთვის არ არსებობს სიტყვა „ასე უნდა“, მისი დევიზია: **„მე ასე მინდა, ჩემთვის საჭიროა ასე იყოს“.**

სოლნესი დარწმუნებულია, რომ მხოლოდ მას აქვს უფლება დამოუკიდებლად აშენოს, იმიტომ, რომ მან, თავის ბრწყინვალე მდგომარეობის მისაღწევად, მსხვერპლად შესწირა „სულიერი სიმშვიდე“. ყველა იმას, ვინც მის გზაზე გადაღობავს გზბედავს, სოლნესი შეუბრალებლად გასრესავს. თავის მიზნის მისაღწევად იგი უწმინდურ საშუალებასაც კი მიმართავს ხოლმე. რაგნარმა ერთ სახლის ასაშენებლად მშვენიერი გეგმები დახატა, მაგრამ მას უთხრეს, რომ მხოლოდ მაშინ მოგცემთ ამ სამუშაოს, როდესაც სოლნესი გასინჯავს გეგმებს და მოიწონებსო. რადგანაც სოლნესს არ უნდა, რომ რაგნარმა დამოუკიდებელი სამუშაო იშოვნოს, იგი ცივს უარზე დგება, მიუხედავად იმისა, რომ ეხვეწება რაგნარის ავადმყოფი მოხუცი მამა, რომელიც ოდესღაც სოლნესის მასწავლებელი ყოფილა. სოლნესს ბედმა გაუღიმა, მან ცხოვრებაში გაასწრო თავის მასწავლებელს მოხუცს ბროვიკს და ბევრს სხვასაც, «წაართვა პური მას და სხვებსაც». უბედურ მამას სურს სიკვდილის წინ მაინც დარწმუნდეს, რომ მისი შვილი ვარგა რადმე, მაგრამ სოლნესი თავისას არ იშლის და არა თანხმდება რაგნარში რამე ნიჭი იცნოს.

ბროვიკი კვდება და სამარეში ჩააქვს გულის მღრღნელი ეჭვი შვილის ნიჭში. ასეთივე სასტიკია სოლნესი სხვებთანაც. იგი თავის თავს ქვეყნიერების ცენტრში აყენებს: ყველაფერი არსებობს მისთვის და მის ამაღლებისთვის. სოლნესმა იცის, რომ თავის სტიქიურ მისწრაფებაში ბევრის სიცოცხლე დაღუპა, მაგრამ, სანამ თავისადმი რწმენება არ დაჰკარგვია, მას არაფრისა არ ეშინიან. საქმე იმაშია, რომ ახლა მას ის ეჭვი აწუხებს, იქნება ასეთი სახელოვანი ხურო მხოლოდ ბედის წყალობით გავხდიო? როგორ საოცრად სწყალობდა ბედი, ეს იქიდანა სჩანს, რომ მისი ყველა სურვილი თავი-სთავად სრულდებოდა ყოველთვის. მან მოინდომა, რომ მისი ცოლის ძველი სახლი გადამწვარიყო, და სახლი მართლაც გადაიბუგა. მან მხოლოდ გაიფიქრა, გულში მოინდომა, რომ კაიამ მის კანტორაში იმსახუროს და ახალგაზდა ქალი მოვიდა მასთან მეორე დღესვე და ისე დაიწყო ლაპარაკი, თითქო სოლნესმა მოიწვია კიდეც იგი სასამსახუროდ. რადგანაც ყოველივე სურვილი სოლნესისა ასე თავისთავად სრულდებოდა, მან დაიწყო ფიქრი იმაზე, რომ იგი იმ არაჩვეულებრივ, ძლიერ ბუნებიან პიროვნებებს ეკუთვნის, რომელთაც აქვთ ძალა და ნიჭი ისე „ძლიერად მოისურვონ რამე, ისე ძლიერად მიისწრაფონ რისკენმე“, რომ მათი სურვილი უნდა შესრულდეს უთუოდ.

მაგრამ, წინად თუ სწყალობდა ბედი, განა შესაძლებელი არ არის, რომ ბედმა ერთს მშვენიერს დღეს უმტყუნოს სიბერეში ფეხ-გადადგმულს „ამშენებელს“? მაშინ ბედი ახალგაზრდობის მხარეს დაიჭერს, და სოლნესს გადაუხდიან ყველა იმ ტანჯვას, რომელიც მას სხვებისთვის მიუყენებია. ამნაირად, სოლნესი თავის თავს განსაცდელში გრძნობს და ამიტომ უფრო შეუყვარდება თავისი თავი. იგი ფიქრობს და ზრუნავს მხოლოდ თავის ბედნიერებაზე. რა საქმე აქვს მას საზოგადოებასთან, განა იგი მოვალეა იმუშაოს სხვებისთვის? „ხალხისთვის სახლების შენება ერთ გროშად არა ღირს“,—ამ აზრისა ხდება ხურო სოლნესი და თავს ანებებს საზოგადო მოღვაწეობას. მას სურს და ენატრება მხოლოდ საკუთარი ბედნიერება!

ხალხს სახლებს აღარ აუშენებს! მაშ მომავალში რის შენებას დაიწყებს სოლნესი? ეს კითხვა მას ჯერ გადაწყვეტილი არა აქვს, როდესაც ახალგაზდობის გატაცება, გილდას სახით, უბრუნდება მას. გილდამ შთააგონა სოლნესს, რომ მან უნდა ააშენოს მშვენიერი კოშკები, ქვის საძირკველზე ამოყვანილი.

თავის-თავის რწმენა უბრუნდება სოლნესს, იგი თავის არსებაში დიდ ძალას გრძნობს, მისი შემოქმედებითი ფანტაზია უკვე ჰქმნის გეგმას, როგორ უნდა ააშენოს მან კოშკი თავისთვის და გილდასთვის. ეს კოშკი უნდა სადმე მაღლობზე იდგეს. იქიდან ოთხის მხრივ უნდა სჩანდეს მშვენიერი ბუნება. კოშკის წვერზე აივანი იქნება გაკეთებული. ამ აივანზე სოლნესი და გილდა იდგებიან და „მაღლიდან გადახედავენ იმათ, ვინც ძირს აშენებს საყდრებს და სახლებს თავის მამისთვის, დედისთვის და შვილებისთვის“. სოლნესსა და გილდას ეზიზღებათ ისინი, ვინც ხალხისთვის სახლებს აშენებენ, ესე იგი, საზოგადო მოღვაწენი. თვითონ ისინი ამ საზოგადო მოღვაწეებზე ბევრად მაღლა იდგებიან, თავბრუს დამხვევ სიმაღლეზე! მათი ხელოვნება საზოგადოებას კი არ ემსახურება, არამედ თვითონ მათ, შემოქმედ ნიჭის პატრონებს!

მაგრამ სოლნესმა სიბერეში ფეხი შესდგა, განა შეუძლია მას ააშენოს რამე ასე მაღლა და თავბრუ-დამხვევ სიმაღლეზე ავიდეს? აი, ახლაც მან დაასრულა თავის სახლზე კოშკის აგება, და საჭიროა მის წვეროზე გვირგვინის დადგმა. სოლნესის მაგივრად სხვა ვინმე უნდა ავიდეს. „როგორ? განცვიფრებით ამბობს გილდა: ნუ თუ ჩემს „ხუროს“ არ შეუძლიან ავიდეს იმ სიმაღლეზე, რა სიმაღლემდისაც თვითონვე აშენებს“? გილდა სოლნესს უღვიძებს ძალას, და მოხუცი ამშენებელი მიისწრაფვის ზევით. მას უნდა კოშკის წვერიდან ხელახლად დაელაპარაკოს ღმერთს. მას სურს უთხრას, რომ ხალხისთვის სახლებს აღარ ააშენებს; იგი აშენებს საოცნებო კოშკებს! სოლნესი ზევით ადის, რამდენიმე ათასი კაცი გულის ფანცქალით შეჰყურებს მას, განცვიფრებული ახალგაზდობა თვალს ადევნებს მოხუცის სტიქიურ მისწრაფებას, გილდა აღტაცებით ჰფიქრობს, რომ მისი ამშენებელი ჰქმნის „შეუძლებელ საქმეს“. სოლნესი კი მიდის მაღლა და მაღლა! აი, იგი მწვერვალამდის ავიდა; ჩამოჰკიდა გვირგვინი, მოიხადა ქუდი და დაბლა მდგომს ხალხს სალამი გაუგზავნა საშინელის სიმაღლიდან. გილდამ და მასთან ერთად ამ აუარებელმა ხალხმა აღტაცებულის ხმით „ვაშას“ ძახილი და ხელსახოცების ქნევა დაიწყეს. ამ ყვირილისაგან თუ იმიტომ, რომ ხალხის აღტაცებამ მას თავბრუ დაახვია,—სოლნესი ჩამოვარდა კოშკიდან, დაეცა პირდაპირ ქვებზე და მოკვდა.

„ხურო სოლნესი“ იბსენის ყველა დრამებზე უფრო სუბიექტიურია. თვით იბსენი, როგორც სოლნესი, აღზრდილი იყო მეტის-მეტად ღვთისნიერ და მორწმუნე ოჯახში. პირველი მისი თხზულებანი რელიგიურ და მორალურ ხასიათისაა. საკმარისია მაგალითებად მოვიყვანოთ დრამები „ფრუ ინგერ ესტორტიდან“, „იმპერატორი და გალილეველი“, „ბრანდი“ და სხვა. მაგრამ, როგორც სოლნესმა ერთ მაღალ სამრეკლოს აშენების შემდეგ ხალხისთვის სახლების შენება დაიწყო, ისე იბსენმა, ყველაზე უფრო რელიგიურ და მორალურ დრამის „ბრანდის“ შექმნის შემდეგ, რეალურ დრამების წერა დაიწყო, რომლებშიაც იგი არჩევდა სოციალურ კითხვებს და ურთიერთობას, ანგრევდა და სპობდა სიცრუეს, რაშიაც უნდა იხატებოდეს იგი, და სიმართლეს ჰქადაგობდა.

სოლნესი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ „ხალხისთვის სახლების შენება გროშად არა ღირს“. ამშენებელმა, პირველ ყოვლისა, ისეთი შენობა უნდა ააგოს, რომელიც თვითონ მას გააბედნიერებს. ამშენებელმა მხოლოდ თავის პიროვნულ ინტერესებისთვის უნდა იზრუნოს. ამიტომ სოლნესს სურს მომავალში ააგოს საოცნებო კოშკები. თავის სამწერლო მოღვაწეობის პესსიმისტურ პერიოდში იბსენიც ამტკიცებდა, რომ ცხოვრების სიცრუის დანგრევა და სიმართლისთვის ბრძოლა—სისულელეა. სასაცილო და შესაბრალისნი არიან ის საზოგადო მოღვაწეები, რომელნიც მოქმედობენ ამ მიზნით. ამ პესსიმიზმის შემდეგ იბსენი უფრო თავისთვის სწერს, ვიდრე საზოგადოებისათვის; იგი არა ზრუნავს იმაზე, რომ მისი ნაწარმოები ხალხმა გაიგოს, ოღონდ თვითონ დაკმაყოფილდეს თავის თხზულებით. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ შემდეგ დაწერილ იბსენის დრამებში ჩვენ ვხედავთ ისეთ სიმბოლოებს, რომელთა ახსნა ხდება ყოვლად შეუძლებელი. ასეთის სიმბოლოებით სავსეა „ხურო სოლნესი“, ის დრამა, რომელშიაც იბსენი პირველად ხდება უკიდურესი ინდივიდუალისტი. სოლნესი ისეთი პიროვნებაა, რომელიც „სიკეთისა და სიავის“ იქითა მხარესა სდგას; იგი ცხოვრების მიზანს თავის პიროვნებაში ჰხედავს, ხალხი კი მისთვის საშუალებაა თავის ცხოვრების მიზნების მიღწევისათვის.

აი, ასეთ ეგოისტურ პიროვნებას იბსენი თანაუგრძნობს; იბსენი სოლნესის პირით თავის საკუთარ აზრებსა და ფიქრებს ამჟღავნებს. სოლნესის ამშენებლობის და იბსენის სამწერლო მოღვაწეობის შედარებიდან ნათლადა სჩანს, რომ იბსენის აზრები დრამაში «ხურო სოლნესი», როგორც სარკეში, იხატება.

შალვა ნათაძე.

◆ ტფილისიდან რკინის გზის ბატალიონის ჩასვლის შემდეგ, **კავკავის რკინის გზაზე მოძრაობა აღდგენილ იქმნა.**

◆ ორშაბათს, 25 ივლისს, დანიშნულია **გამოცდა ფუნიკულერის ავტომატიურ ტორმოზებისა.**

◆ ორშაბათს, 25 ივლისს, **ქალაქის გამგეობაში დანიშნულია მოიჯარადრეთა კრება** ქალაქის მიწებზე საიჯარადრო ფასების შესამუშავებლად.

◆ ამჟამად ინჟენერ კოგნოვიცკის მეთაურობით მუშაობს კომისია მტკვრის პირას რამდენიმე წყლის საწმენდ სადგურის (тюрбинные станціи) გამართვის შესახებ. ამ სადგურებიდან **ფილტრებით გაწმენდილ სუფთა წყალს მოაწვდიან ქალაქს.** სადგურები მიხეილის ხიდის ზევით უნდა გაიმართოს.

◆ პარასკევს, 22 ივლისს, ბაქოში კიევიდან ჩასულან **კიევის კომერციულ სასწავლებლის მოწაფენი,** რიცხვით 36 კაცი, ოთხი მასწავლებლით. ექსკურსანტები გაეცნობიან ბაქოს მრეწველობას და შემდეგ გაემგზავრებიან ტფილისს, ბორჯომსა, აბასთუმანსა და ბათუმში.

◆ მოქალაქეთა გამგეობა მოურავის დანდუროვის მეთაურობით ამჟამად ადგენს წესდებას, საურთიერთო **დამხმარებელ კასის დაარსების შესახებ.**

◆ როგორც სოფ. ზორბალოდამ გვატყობინებენ, **გლეხებს ბოიკოტი გამოუცხადებიათ** მემამულე ბარათაშვილებისა და მემამულე დადიანსკისთვის და მოსამსახურეები წაურთმევიათ.

◆ ხუთშაბათს, 22 ივლისს, **ქალაქის გამგეობის წევრთა და ქალაქის სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის ზედამხედველთა კრება მოხდა.** კრებას მსჯელობა ჰქონდა სხვადასხვა გადასახადებზე, რომელსაც მეეტლენი და სხვანი არ იხდიან. ერთხმად დადგენილ იქმნა: ეს ამბავი დაუყოვნებლივ ეცნობოს გუბერნატორს და თან ეთხოვოს, რომ მან მხარი მისცეს ქალაქს ამ გადასახადების აკრების საქმეში.

◆ **22 ივლისს შესდგა საზოგადო კრება „ღრმა-ღელეს“ მემამულეთა.** ხანგრძლივ კამათის შემდეგ ერთხმად დადგენილ იქმნა: გამართონ პლატფორმა ინჟ როტინოვის შემუშავებულ გეგმაზე, იმ პირობით, თუ ხარჯში მეზობელი კოლონისტებიც მიუდგებიან. წყლის გაყვანის საქმის წარმოება ქალაქის გამგეობასთან მიენდო საზოგადოების თავმჯდომარეს დ. ა. დავითაშვილს. ამასვე მიენდო ნოტარიუსის წესით კოლონიის პროექტის შედგენისა და არჩევისა. კრებაზედვე დამსწრეთ თითო თუმანი გაიღეს მიწის ნაჭრების შესაძენათ და 8 კაცი აირჩიეს ფულის მოსაკრებად იმ წევრებისგან, რომელნიც კრებაზე არ დაესწრნენ.

◆ სახელმწიფო რკინის გზების მთავარმა გამგეობამ აცნობა ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველოს, რომ გზათა მინისტრმა დაამტკიცა დებულება განჯის საქალაქო სადგურისა და ყველა საქმის ოპერაცია. მგზავრთა გადაყვანა და საქონლის გადაზიდვა გამგეობამ ჩააბარა ნაფიც ვექილს ა. კ. ფედოროვსა.

◆ კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელ საზოგადოების საბჭომ დაადგინა, ამ საზოგადოების სკოლების ყველა სამღვთო სჯულის მასწავლებლებს ერთნაირი ჯამაგირები დაუნიშნოს—ერთ-კლასიან სკოლებისას წელიწადში 60 მანათი, ხოლო ორ-კლასიანებისას 100 მანათი.

◆ ამ დღეებში რკინის გზის დეპოში ერთ ორთქლმავალზე, გამოსაცდელად, უწინდელ ფარნების მაგივრად აცეტილინით განათებული ფარანი დასდგეს. ასეთ ფარნებს სხვა ორთქლმავალზედაც დასდგამენ.

◆ როგორც გორის მაზრის სოფ. ჭალიდან გვატყობინებენ, ამ სოფელში და მის ახლო მახლო სოფლებში გლეხებმა დაიწყეს მინდვრებიდამ ჭირნახულის ზიდვა, ხოლო მინდვრებში სტოვებენ მებატონეთა კუთვნილ მეათედს.

◆ როგორც შევიტყვეთ, იმერეთის ეპარქიაში ქედისუბნის მთავარ-ანგელოზის ეკკლესია გაუძარცავთ. წაუღიათ 800 მანათი ფულად და შემნახველ კასსის წიგნაკები.

◆ პუშკინის ქუჩაზე მყოფ მანთაშევის შენობაში კარაპეტ ავაქიანცის კონსერვების მაღაზია გაუტეხიათ. წაუღიათ ფულად 358 მ. 2 კ. და ოთხი მანათის კონსერვები. გამოძიება სწარმოებს.

◆ რკინის გზის სადგურ ყარაიაზზე თათრებმა მძიმედ დასჭრეს ი. თვალიაშვილი.

სადღეისო

მოჩვენებანი

(ერთის კაცის დღიურის მეექვსე ფურცელი)

სწორედ ჯოჯოხეთად გადაიქცა ეს ღამე, აღარ გათენდა, აღარა მეშველა-რა!

ღამე, შავ-ბნელი, უკუნეთი, უმთვარო, განა ამგვარ ღამისთანა შემაწუხებელი იქნება რამე?

ვზივარ მარტოკა ჩემს ოთახში. პაწია ლამპრის შუქი მომაკვდავივით ცახცახებს და გულიც ისე მიკნევსის, თითქო რაღაც ძვირფასი რამ დამკარგოდეს, ვიღაც მომკვდომოდეს, რაღაც უბედურობა მიამელოდეს.

ძილიც რომ აღარ მეკარება? ოხ, რა კარგია ადამიანს შეეძლოს გაექცეს თავისს შავ-ფიქრებს, გულის ქენჯნას, სევდა-ვარამს!

მაგრამ შავი ღამე ბაიყუშივით იმზირებოდა ჩემ ფანჯარაში და ფიქრს ფიქრზე მიკარნახებდა.

— მეც ვცხოვრობ, ჰა?—ვეკითხებოდი ჩემ თავს, რის მაქნისი ვარ, რას მოველი ცხოვრებისაგან, ან როდის მოვიპოვებ—მეთქი—სულის სიმშვიდეს?

პასუხად ქუჩიდან იარაღის ჩხარუნი და ნამძინარევ ჯარის-კაცების ლანძღვა-გინებას მესმოდა.

ჩემი თავი გალიაში დამწყვდეულად წარმოვიდგინე.

იცით რა დამცირებულია ადამიანი, როდესაც იგი თავისუფალია, და არც თავისუფალია, როდესაც იგი თავის თავს ეკუთვნის და არც ეკუთვნის, როდესაც კაცი, ადამიანი ჰქვიან და ძაღლადაც არ აგდებენ?!

თუ არ იცით, ნეტა მალე მაინც მიხვდებოდეთ! იქნება მაშინ მეც მოვიპოვო სულის სიმშვიდე.

ყურებმა ზუილი დამიწყეს. ასე მეგონა სადღაც შორს, შორს სამგლოვიარო ზარს რეკენ, ვიღასაც სტირიან, რაღაცას გლოვობენ-მეთქი.

ოხ, ჯოჯოხეთური ღამე, მალე მაინც გათენდი. დიდებულო მზეო, მალე ამონათე!

დარეტიანებული წამოვდექ, ფანჯარაში გავიხედე. ისევ ბნელოდა. ცა გაპირქუშებულიყო. ქალაქს შავი ძაძა ჩაეცვა. სიცოცხლე მომკვდარიყო.

არა, ნამდვილად გათენებას აღარ აპირობს-მეთქი,—წამოვიძახე სასოწარკვეთით და ღონემიხდილი ტახტზე წამოვწექ. ყურებში თითი დავიცე, თვალები ძალად დავხუჭე, მოსვენებას ეუხმობდი, მაგრამ ამაოდ...

ეხ, რა კარგია მოსვენება!.. ნეტა როდის მოვისვენებთ?..

რაღაც ხრიალი მომესმა. თვალები გავახილე და მივიხედ-მოვიხედე. ჩემი ოთახი უფრო ჩაბნელებულიყო. ლამპარში ნავთი ჩამწვარიყო. კანკალმა ამიტანა.

ადგილიდან ვეღარ დავიძარ.

თავში სისხლი მომწოლოდა.

ვეგდე ცოცხალ-მკვდარი. თავბრუ მესხმოდა. უცბად ყურებმა გამწივლეს. თვალებ წინ წითელი წერტილები გამიჩნდნენ. გაიზარდნენ ეს წერტილები, გაიზარდნენ და ოთახში გაიფანტნენ, ტალღასავით გაბილაბილდნენ და ჭერს მიეკვრნენ.

ერთი მათგანი ყვავილის თაიგულად მომეჩვენა. ამ თაიგულში გახვეულიყო **ის**...

ნაზი იყო ვით ზეფირი და მშვენიერი ვით ბუჩქის ძირას მოცინარი ია. გულმა სიამოვნებით ცემა დამიწყო. გამეხარდა, რომ მარტოკა აღარ ვიყავ. ის ჩემ გვერდით მეგულებოდა.

მაგრამ **ის** ხმას არა მცემდა. თვალთაგან ცრემლებს აფრქვევდა, ზამბახის ფოთლებში კრეფავდა ცრემლის ცვარებს და უბეში იწყობდა.

მეც ავტირდი. რათა, რისთვის? ვერ გეტყვით. ალბად იმიტომ, რომ არ შემეძლო მის სახეზე ამომეკითხნა მისივე ფიქრები. სახე მხოლოდ მაცდურებაა. მკერდ ქვეშ მომწყვდეული გული თვალით არ დაინახვების, ოცნება ხელით არ დაიჭირების!

ნუ სტირი! მოდი ჩემთან, ტურფავ! ვეხვეწებოდი, ვევედრებოდი.

იმან გაიცინა, ნაწვიმარი თვალები ვარდის კოკრით მოიწმინდა და... გაჰქრა.

მწარედ ამოვიკვნესე და თვალებით დავაშტერდი იმ ადგილს, სადაც იგი იჯდა... მის ადგილს შავი ვეშაპი დავინახე.

არა, ვეშაპი კი არა, რაღაც საზარელი ცხოველი იყო. სახელი არ ვიცი და ვერც მომიგონია. ჰგმინავდა იგი, ვით მომაკვდავი, და ბორგავდა, ვით ზღვა. თვალებიდან ცეცხლები დააკვესა, კუდი გაიქნია და მთელი ოთახი შესძრა.

კედლებზე უთვალავი ჯარის კაცები გამოჩნდნენ. მოდიოდნენ მწყობრად, ხმალ-ამოღებულნი, სიკვდილის მოციქული მოუძღოდათ წინ, შუაში ასი და ორასი ღირსება აყრილი, დატუსაღებული კაცი და ქალი ჩაეყენებინათ, და მუჯლუგუნების ცემით სადღაც მიერეკებოდნენ. სცემდნენ, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, მაგრამ ტყვეები არა სტიროდნენ.

ტყვეებს უკან მისდევდნენ მჭედლები მარწუხგრდემლებით და ჯალათები, რომელთაც იღლიაში კიბეები, ამოღებული ხმლები, თოკები, და ცულები ამოეჩარათ. ირგვლივ სისხლის სუნი ტრიალებდა, იარაღისა და ბორკილების ჩხარა-ჩხური ისმოდა.

ამის დამნახველს სისხლი გამეყინა, გული გადმომიტრიალდა.

ოხ! რა საზარელი სანახავი იყო! უნდა დაებორკილებინათ, უნდა მოეკლათ, ჩამოეხრჩოთ, დაეხვრიტათ ადამიანები, ხალხი, გულისა და გრძნობის მქონე, სიცოცხლის მოყვარულნი, მებრძოლნი გაადამიანებისთვის.

რათა, რისთვის? ვაკრაჭუნებდი კბილებს და სიმწარისა და ჭირის ოფლს მასხავდა.

ისინი კი მიდიოდნენ, გაფითრებულნი, მაგრამ მტკიცე ნაბიჯით. დამცირებულ სიცოცხლისათვის ვაჟკაცური სიკვდილი ეჯობინებინათ!

მიდიოდნენ წყება-წყება და თან ჩემი გულიც მიჰქონდათ.

უცბად, მათ შორის, დავინახე **ისიც.** ჩემი იდეალი, ჩემი სულთა სწრაფვა, მცადე ჩემის ადამიანობისა და იმედი ჩემის მომავლისა.

დავინახე და დაკლული ხარივით დავიბღავლე.

იმან კი სიყვარულით გამიღიმა, ბროლის ხელი უბისკენ წაიღო, ზამბახის ფოთოლში გახვეული სიყვარულისა და იმედის ცრემლები ამოიღო და გადმომგდო.

მე გამოვეფხიზლდი.

— Именемъ закона! —შემომესმა ამ დროს კარების ბრახუნი,—კარები გააღეთ!

მე შევკრთი და კარებს რაზა ავუგდე.

ჩემ წინ ჟანდარმთა უფროსი იდგა.

— უნდა გაგჩხრიკოთ... თქვენ... შენ არა კეთილსაიმედოდ მიაჩნიხართ.

— მე?! გავიკვირვე და განზე ჩამოვდექ.

იმან პასუხის ღირსი აღარ გამხადა, კარებში დარაჯები დამიყენა და ჩემის ოთახის ჩხრეკას შეუდგა.

მე მეცინებოდა.

გათენებულიყო. მზე ამოსვლას აპირებდა და მზის დამნახველს აღარავისი და აღარაფრისა არ მეშინოდა...

ია ეკალაძე.

საჭიროა ახალ სკოლისთვის მოვემზადოთ.

საზოგადოებრივმა მოძრაობამ, სხვათა შორის, იმდენად შეარყია ძველი სკოლა, რომ მისი არსება წინანდელ სახით ყოვლად შეუძლებელია. რასაკვირველია, ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ სკოლა სავსებით იდეალური იქნება. ასეთ მიზნის მიღწევას დიდი ბრძოლა უნდა და მხოლოდ ბრძოლით იმარჯვებს მომავალი. სხვათა შორის, საჭიროა დღეიდანვე შეუდგნენ ახალ საქმისთვის მომზადებას. საჭიროა გამოვარკვიოთ სასურველი პროგრამა, რომელიც ერთნაირადვე იქნება მეცნიერებაზე დამყარებული და დემოკრატიულ პრინციპზე აგებული. მაგრამ ცოტაა მარტო პროგრამა. საუბედუროდ ჩვენს მეფერალა „ინტელიგენციას“ თითქმის სულ არაფერი არ გაუკეთებია ჩვენის მწიგნობრობისთვის. თითქმის არც ერთი ხეირიანი სახელმძღვანელო არ მოგვეპოვება, არ მოგვეპოვება განსაკუთრებით მეცნიერების სხვადასხვა დარგის სახელმძღვანელოები. საჭიროა ახლავე რომელიმე საზოგადოებამ ან განსაკუთრებულმა ამხანაგობამ იკისროს ამ ნაკლის გასწორება. საჭიროა ახლავე შეუდგნენ სახელმძღვანელოების ბეჭდვას სხვადასხვა საგნებიდან, რომ მომავალ სამოსწავლო წელი სწავლებაში მართლა ახალ დროის დამწყე იყოს.

X.

რუსეთი

ესტლიანდიის პასტორთა სინოდმა **ფრიად საყურადღებო გადაწყვეტილება მიიღო.** სინოდი სთხოვს მთავრობას, გააუქმოს ყველა ის კანონი, რომელიც საეკლესიო წესების შესრულებას სავალდებულოდ ხდის. პასტორების აზრით, უეჭველად უნდა გაუქმდეს სავალდებულო ნათვლა, ჯვრის წერა, აღსარება, ზიარება და საეკლესიო წესით დასაფლავება. თუ მშობლებს არ უნდათ თავიანთ შვილის მონათვლა, სამოქალაქო მოხელეს უნდა განუცხადონ ეს ამბავი; მოხელე წიგნში ჩასწერს ამ ბავშვის დაბადების დღეს და, როცა საჭირო იქნება, მეტრიკასაც მისცემს; თუ დაქორწინებულთ საეკლესიო წესით არ უნდათ ჯვრის დაწერა, ისინიც ასე უნდა მოიქცნენ და დაქორწინების პირობა მოხელესთან უნდა დასდონ.

პასტორების უმეტესობას ის აზრი გამოუთქვამს, რომ ეკლესიისთვის შეურაცხყოფა და დამცირებაა, როცა მღვდელი იძულებულია საეკლესიო წესი აუსრულოს იმათ, ვინც პირდაპირ აცხადებს თავის ურწმუნობას (პრ. კრ.).

◆ **საინტერესო სტატისტიკა.** ამ ხანებში დაიბეჭდა საერო განათლების სამინისტროს-მიერ შედგენილი და გამოცემული წიგნაკი, რომელშიაც ნაჩვენებია, თუ რომელ ოლქში რამდენი საშუალო სავაჟო სასწავლებელია და რამდენ მცხოვრებზე და რამდენ ჩორსო ვერსზე მოდის თითო სასწავლებელი. № 1 ნიშნავს სასწავლებელთა რაოდენობას, № 2—მცხოვრებთა რაოდენობას თითო სასწავლებელზე და № 3—რამდენ ვერსზე მოდის ერთი სასწავლებელი (მცხოვრებთა რიცხვი და ვერსები ათასობით იანგარიშება).

	1.	2.	3.
	სასწავ.	მცხოვ.	ვერსი.
შუა რუსეთი	32	402	8,2
შუა ვოლგის მხარე	24	882	10,5
ვოლგის ქვემო მხარე	9	595	54,3
ნოვოროსია	35	230	8,3
ხერსონის გუბ.	19	144	3,3
სამხ. დასავ. მხარე	9	667	11,1
კიევის გუბ.	14	254	3,2
მალოროსია	23	329	6,0
მოსკოვის მიდამოები	15	457	15,5
მოსკოვის გუბ.	24	101	1,2
ბელორუსია	16	428	13,1
ურალის მხარე	12	685	44,4
ჩრდილოეთი	4	422	274,0
პეტერ. გუბ.	7	408	36,7
ბალტიის მხარე	17	140	4,8
ვარშავის გუბ.	15	129	0,8
კავკასია	27	322	15,5
ციმბირი	15	382	729,9
შუა ციმბირი	10	774	301,6

ამრიგად, საშუალოდ ერთი სავაჟო საშუალო სასწავლებელი მოდის 320 ათას მცხოვრებზე და 49 ათას ჩორსო ვერსზე, საქალებო სასწავლებელი კი მოდის 246 ათას მცხოვრებზე და 38 ათას ჩორსო ვერსზე. ზემო მოყვანილ ციფრებს ახსნა-განმარტება აღარ სჭირია. აბა რა უნდა ითქვას იმაზე, რომ ზოგ ადგილას რუსეთში ერთი საშუალო სასწავლებელი 774 ათას მცხოვრებზე მოდის, მეორე ალაგას—129 ათას ჩორსო ვერსზე! (რუს).

◆ სევასტოპოლის სამხედრო სასამართლო ამ დღეებში შეუდგება, სხვა მატროსების გარდა, „პრუტ“-ის მატროსების საქმის გარჩევასაც. სულ უნდა გაირჩეს ოთხის გემისა და ერთ ნაღმოსნის **მატროსების საქმე.** „პოტემკინ“-იდან 94 კაცია სამართალში მიცემული.

◆ **პრესსის თავისუფლება.** ვარშავის გენერალ-გუბერნატორმა გააუქმა გაზეთი „კონეც პოლსკი“ (რ. ს.).

◆ საერო განათლების სამინისტროში ლაპარაკი აღიძრა იმის შესახებ, რომ პედაგოგიური მოღვაწეობა ყველას შეეძლოს **განურჩევლად ეროვნებისა** და სარწმუნოებისა (რ.).

კორესპონდენცია

რიონ-გაღმის კუთხე (ქუთაისის მაზრა), 19 ივლისი. ივნისში ხშირმა წვიმებმა თავი მოგვაბეზრა და ნოტიო ამინდების გამო სიმინდის ყანები ყველგან დაყვითლდა. სამაგიეროდ ივლისის თვეშ წვიმა მოგვანატრა და ყანებს ნამეტანის გვალვით ძლიერ ეჭირს. ვენახს კარგად ესხა, მაგრამ დღეს ზოგან მომწვარი შეიქმნა და ზოგან სეტყვისაგან წამხდარი.

წელსაც საბალახო მთაზე საქონელს ჩვეულებისამებრ გაუჩნდა თურქული. პატრონები გარბიან მთაზე და ჩამოჰყავთ ავადმყოფი საქონელი. საჭიროა ამ გარემოებას დიდი ყურადღება მიაქციონ ბეითალებმა, რათა სოფელში საღ საქონელს არ მოედოს სენი.

ხალხის მოძრაობამ ჩვენს სოფლებში ყველგან იფეთქა. ხშირად იმართება დემონსტრაცია, მიტინგები.

17 ივლისს სს. სადმეტრაოს და როხის გლეხობამ მოახდინეს დემონსტრაცია, ჩამოიარეს სოფელი დროშებით და ბოლოს მიადგნენ ერთ თავადს და მიაწოდეს დროშა. თავადმა დროშის წაღების მაგიერ იძრო რევოლვერი და ხალხის შესაშინებლად რამდენჯერმე გაისროლა. ხალხი აღელდა; ჩაუცვივდა ეზოში და მთლად მილეწ-მოლეწა იქაურობა.

ამას წინად ამაღლების ბაზრობიდან მიმავალ ებრაელებს ბერდანის თოფებით შეიარაღებული შვიდი ავაზაკი დახვდათ გზაში და, თუ რამ ნავაჭრი ფული ჰქონდათ, ყველას წაართვეს.

15 ივლისს ს. ჭყუმურში ხალხმა დაიჭირა ხუთი საეჭვო კაცი, რომელთაც აღმოაჩნდათ იარაღი, თოფები და რევოლვერები. როგორც გამოიკვლიეს, იმ ღამეს ეს ვაჟბატონები აპირობდნენ თურმე ეკლესიის ფულების ამღების ი. არველაძის გაძარცვას.

ვლადო ბზვანელი.

წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! გუშინდელს „ივერიაში“ დაბეჭდილი იყო ჩემ მიერ მოწოდებული ცნობა კახელ მევენახეთა ამხანაგობის „კახეთის“ შესახებ, სადაც, სხვათა შორის, მოხსენებულია, რომ ბ-ნმა ვასილ რცხილაძემ პოლიციელთა მიჰმართა ხალხის გასაფანტავად. სამწუხაროდ, აქ შეცდომაში შემიყვანა შემდეგმა გარემოებამ: კრებაზე შესვლა მოინდომეს მოპირდაპირე მხარის წარმომადგენლებმაც, მაგრამ არ შეუშვეს, რადგანაც გენერალ-გუბერნატორის-მიერ ხელმოწერილ ქაღალდში კრების ნებართვის შესახებ აღნიშნული ყოფილა, რომ თათბირზე მოწვეულნი იქნებოდნენ რესტორატორები, ბაღის და სასტუმროების პატრონები, ყოველი მათგანი პირადად. გარდა ამ პირებისა, ოფიციალურად სხვას არავისა ჰქონდა უფლება კრებას დასწრებოდა. როდესაც რამდენიმე მოპირდაპირეთაგანი უდასტუროდ შევიდა კრების სადგომში, ბ-ნმა რცხილაძემ ერთს მათგანს, სახელდობრ ბ-ნ ვარლამ წიწვაძეს, ხელი-ხელს გაუყარა და ლაპარაკით გარედ გამოიყვანა. ბ-ნი ვ. რცხილაძე ხელების ქნევით ელაპარაკებოდა წიწვაძეს და სწორედ ამ დროს გაისმა პატრულის ხმა: „დაიშალენითო“. მე ამ დროს ამხანაგობის გამგეობის სადგომთან, პუშკინის ბაღის შესავალ კარებში, ვიდექი და ბ-ნ რცხილაძის ხელის ქნევით ლაპარაკმა და სწორედ ამ დროს პატრულის გაფრთხილებამ შემიყვანა შეცდომაში, რისთვისაც ძლიერ ვწუხვარ და ბოდიშს ვიხდი ბ-ნ რცხილაძის წინაშე ამ უნებურ შეცდომისათვის, რადგანაც მას, ბ-ნ რცხილაძეს, **პოლიციისათვის არ მიუმართავს** და თვით პოლიციელნიც გენ.-გუბერნატორის განკარგულებით იყვნენ იქ დაყენებულნი. არც ნადიმი გაუმართავთ,—იყო კი განზრახვა, მაგრამ ამაოდ... *).

დიმიტრი სოფრონის ძე ჯაში

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

23 ივლისი.

ვლადივოსტოკი, 22 ივლისი. გოშკევიჩის ყურეში სდგას იაპონელთა სადარაჯო რაზმი, რომელიც შესდგება ერთის კრეისერისა და ოთხის ნაღმოსნისაგან.

ნიუ-იორკი, 22 ივლისი. რუსეთის საფინანსო განყოფილება უარჰყოფს გაზეთების ცნობას, ვითომც ვიტტეს ამერიკელ ფინანსისტების აზრი გაეგოს იმის შესახებ, რომ რუსეთის სესხი შეერთებულ შტატებში იქმნას განაღდებული.

ოისტერბეი, 22 ივლისი. ვიტტემ და როზენმა დღეს ინახულეს რუზველტი. არავის არ გაუცილებია რუსეთის ოფიციალური წარმომადგენელნი. ირწმუნებიან, რომ ეს დარბაზობა კომურასა და ტაკახირას დარბაზობის მსგავსია. ვიტტეს უნდოდა მხოლოდ არა-ოფიციალურად დაემოწმებინა თავისი პატივისცემა პრეზიდენტისადმი ორთავე მხრის რწმუნებულთა ფორმალურად მიღებამდე. მოვიდა გემი „მეიფლოუერი“, რომელზედაც ხვალ რუზველტი მიიღებს რუსეთისა და იაპონიის დელეგატებს. ჯერ იაპონიის რწმუნებულს მიიღებს, რადგანაც ახალი დიპლომატიური პრინციპი ისეთია, რომ, ვინც პირველად მივა ამერიკაში, უპირატესობასაც მას აძლევენ და ჯერ ის უნდა მიიღონ. ეს წესი რუსებისა და იაპონელების დაუსწრებლად დაადგინეს. რუზველტმა ინახულა ორი კორეელი, რომელთაც სთხოვეს, მომავალს სამშვიდობო მოლაპარაკებაში კორეის ინტერესები დაიცვათო.

პეტერბურგი, 22 ივლისი. შორეულ-აღმოსავლეთიდან ოფიციალური მოხსენება არ მოსულა.

ნიუ-იორკი. 22 ივლისს ვიტტეს სურვილისამებრ, რუზველტმა სთხოვა ფოტოგრაფებს,—თავი დაანებეთო რუსეთის რწმუნებულთ, რომელთაც მოსვენებას არ აძლევთ და არჩილივით მუდამ თან დასდევთო. ვიტტეს ისე შეეგება რუზველტი, როგორც კომურას. ის არც ერთს მხარეს უპირატესობას არ აძლევს.

გუნზულინი, 22 ივლისი (საკ. კორესპ.). საზოგადოდ ცვლილება არაა. მესამე დღეა, რაც წვიმების ხანა შესწყდა. კარგი, მზიანი დარებია. ჩინელები ამბობენ—ჩვეულებრივ წვიმების ხანის დროს ასეთი დარები ერთს კვირაზე მეტს არა გრძელდება ხოლმე და შემდეგ ისევ კოკისპირულ წვიმებს დაიწყებსო.

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა სამინისტრომ 13,000 მანათი გადასცა კავკასიის უმაღლეს მთავრობას საქონლის ჭირის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ქალაქის სამმართველოს ექიმები დიდის გულმოდგინებით ადევნებენ თვალყურს იმ მგზავრებს, რომლებიც ხოლერის მხრივ საეჭვო ადგილებიდან მოდიან. ექიმებმა ხუთის დღის განმავლობაში უნდა აირონ და უთვალთვალონ ამისთანა საეჭვო გუბერნიებიდან მოსულ მგზავრებს, რომ მოარულის ბუდე აღმოაჩინონ.

რეპინი თავის ფართო ქარხანაში კურკალთან ამჟამად რამდენსამე დიდ სურათს ხატავს, მათ შორის გორკისა და თარხანოვისას.

მოსკოვი, 22 ივლისი. დოღის დროს უწესრიგოდ გამოშვებული „ფავორიტი“ დამარცხდა. ხალხმა სანაძლეოს დაბრუნება მოითხოვა, ადმინისტრაციამ უარი უთხრა. მაშინ ხალხმა დაუწყო სროლა სკამებისა, ჭურჭლისა და რაც ხელთ მოხვდა. მაშინ კი ადმინისტრაციამ სანაძლეო დაუბრუნა. ტოტალიზატორმა იზარალა 15,000. დოღი გრადონაჩალნიკმა შესწყვიტა.

პეტერბურგი. როგორც გაზეთები იუწყებიან, შინაგან საქმეთა სამინისტრო წინააღმდეგი არაა, რომ დრო-გამოშვებით მოწვეულ იქმნას ხოლმე სათემო და საერობო კრებები. ამავე სამინისტროს განზრახვა აქვს ცირკულიარით განმარტოს, რომ როზგის ხმარება არავითარს შემთხვევაში არ იქნება შეწყნარებული იმ შემთხვევაშიაც კი, თუნდა ბრალდებულმა ჯარიმის გადახდას როზგი ამჯობინოს. ამნაირი განმარტება იმან გამოიწვია, რომ ზოგიერთს ადგილებში როზგი ისევ ყოფილა ხმარებაში, თუმცა, 1904 წ. 11 აგვისტოს უმაღლეს მანიფესტის ძალით, როზგით დასჯა სასტიკად აკრძალულია.

პეტერბურგი, 22 ივლისი. რუსეთისა და საფრანგეთის რწმუნებულთა მოლაპარაკება, სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ, თანხმობით დამთავრდა: საფრანგეთი ბაჟს არ ასწევს საერთოდ და სრულიად არ დაადებს ბაჟს: პურს, სელს, ხის მასალას, ნავთეულს და სხ. რუსეთმა დაუკლო ბაჟი: ღვინოს, მაგარ სასმელებს, ნელსაცხებელს, ხელთათმანს, შლიაპებს, ფეხსაცმელს და სხ.—მინისტრთა დღევანდელმა კრებამ, ფინანსთა მინისტრის ამხანაგის ტიმირიაზევის თავმჯდომარეობით, საჭიროდ დაინახა რკინის გზის სამოძრაო საქმე მოაწყოს, საოლქო კომიტეტები დაარსოს მრეწველთა წარმომადგენლების მონაწილეობით, ნავთის მაგიერ რკინის გზებზე ქვანახშირი იხმარებოდეს, გაადვილდეს რკინის გზით ნავთის ზიდვა ბაქოდან პეტროვსკამდე, როდესაც გემების მიმოსვლა ზამთრობით შეწყდება.

სტამბოლი, 22 ივლისი. მსოფლიო პატრიარქმა აცნობა პორტასა და სულთანს, ბულგარელები მეტად სასტიკად სდევნიან ბერძნებსაო. პორტამ აცნობა სულთანს სალონიკის ვალის მოხსენება, რომ ბულგარელები სოფელ გერბასს დასცემიან, დერიანის ოლქში, და 29 მუსულმანი მოუკლავთ. მკვლელობის განზრახვისათვის დატუსაღებულ ბულგარელის გვარი რაგისაა. ერთი კვირის წინად ვინმე რიპს რალსისა ანუ რანსკის კარეტა სელამლიკზე მოსულა, როგორც ეტყობა, სადღედად. კარეტის მეეტლეს სამჯდომი მეტად მაღალი ჰქონდა და საფიქრებელია, რომ მის ქვეშ ჯოჯოხეთის მანქანა ყოფილა დამალული, რომელმაც იფეთქა და მეეტლე ნაკუწ-ნაკუწად აქცია. ბულგარიის ექსარხოსის კანცელარიაში იმას იძიებდნენ, მართლა ცდილობდა ვინმე გადაეცა ორი ყუმბარა სკოლის ინსპექტორის ნაუმოვისათვის, თუ არა. დღეს ყველა დაპატიმრებული განთავისუფლეს, გარდა მეკარისა.

პეტერბურგი. სენატმა განმარტა, რომ კანონი სრულიად არ ავალებს პოლიციას, რომ ქმარს მოშორებით მცხოვრები ცოლი უთუოდ დაუბრუნოს ქმარს, თუნდაც ცოლს პასპორტი არა ჰქონდეს.

დასავლეთ გუბერნიებში ებრაელებს, რომელთაც კანონის წინააღმდეგ მამულები აქვთ იჯარით აღებული, ადმინისტრაციამ იჯარა არ უნდა არ უნდა ჩამოართვას, ვიდრე სასამართლო განაჩენს არ დაადგენს, იმ შემთხვევაშიაც კი, როდესაც მოიჯარადრეს ხელშეკრულობის საბუთი არ უჭირავს.

გაზეთების ცნობებით, 21 ივლისის კრებაზე საერო წარმომადგენელთა მოწვევის პროექტის განხილვის დროს წაკითხულ იქმნა ის მუხლები, რომლებიც სახელმწიფო საბჭოს დაარსების ძირითად საფუძვლებს შეადგენს; უთანხმოება არავის განუცხადებია და ბჭობაც არ ყოფილა.—როგორც ამბობენ, განსაკუთრებული ყურადღება არჩევნებს მიაპყრობა. განხილვა და შემუშავება პროექტისა ორ კვირას მაინც გაგრძელდება და ამიტომ ის ხმები, ვითომც პროექტი 30 ივლისის გამოცხადდებაო, ცოტა უსაფუძვლო უნდა იყოს.

სოფია, 22 ივლისი. სარწმუნო წყაროებიდან ირწმუნებიან, რომ უკვე 1400-მდე ავიდა რიცხვი დაპატიმრებულთა, რომლებზედაც ეჭვი მიიტანეს ხონთქრის მოკვლის განმზრახველთა თანამონაწილეობისათ. დღემდე ვერაფერი ვერ გამოურკვევიათ. თუმცა ყოველგვარ საშუალებას მიჰმართეს, მაგრამ ვერც პოლიციამ და ვერც გამომძიებელმა იმის კვალსაც კი ვერ მიაგნეს, რომ ვითომ ბულგარელთ განეზრახათ ხონთქრის მოკვლა, განსაკუთრებით—ბულგარიის საექსარხოსოს. ყოვლად სამღვდელო გრიგოლის-მიერ წერილობით განცხადებულ პროტესტის შემდეგ, პოლიცია იძულებული გახდა განთავისუფლებინა ხაზევი, ნაუმოვი და სხვა თანამდებობის კაცნი საექსარხოსოში. აგრეთვე თავიანთის მდგომარეობით ცნობილი ბულგარელნი, ხონთქრის მოკვლის განზრახვისათვის ეჭვით დაპატიმრებულნი.

ათინა, 23 ივლისი. საბერძნეთის მთავრობამ დიდ სახელმწიფოებს ნოტა დაუგზავნა და აცნობებს,—კუნძულ კრიტზე წესიერებას აღდგენა დაუხმარებლად შეუძლებელიაო.

პარიზი, 23 ივლისი. გერმანია მეტს ამაგრებს. დამ-დამობითაც კი მუშაობენ.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

---

*) რედაქცია სწუხს, რომ ეს ამბავი შემთხვევით დაიბეჭდა გაზეთში. რედ.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 23 іюля 1905 г.
ელექტრომბეჭდავი „ცისკარი“, ფრეილინის ქ., № 5.